პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 140 (9916) | სამშაბათი, 15 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. — გეგეჭკორის, კაჭრეთისა და წალკის რაიონებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობას დაყენების შესახებ (მე-2 გვერდი).

ა. სპეროზაშვილი. — ერთი დღე დიღმის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში (მე-2 გვერდი).

ნ. შველიძე. — ფილმი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაზე (მე-3 გვერდი).

ს. ხარაზიშვილი. — მომავლის ფართო გზაზე (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ნ. ჩხეიძე. — ოლეს გონჩარის „მედროშენი“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

წარმატებით მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად ჩვენი სკოლა ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ახალი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის, სახალხო განათლების საქმისათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის, საბჭოთა ხალხის ზრუნვის ბრწყინვალე დადასტურებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული 1954 წლის ბიუჯეტი. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის მიმდინარე წლას ბიუჯეტით ასიგნებულია 1.766.286 ათასი მანეთი. აქედან 1.103.223 ათასი მანეთი სახალხო განათლებასა და კულტურაზე დაიხარჯება.

სახალხო განათლების საქმისათვის გათვალისწინებული დიდი ასიგნობანი საშუალებას იძლევა სისტემატურად გავაფართოოთ სასკოლო ქსელი, განვამტკიცოთ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ყველა სკოლაში შევქმნათ სანიმუშო პირობები ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობანი ჩვენს რესპუბლიკაში სათანადოდ არ არის გამოყენებული. ახალი სასკოლო შენობების აგების გეგმა სისტემატურად არ სრულდება. მაგალითად, 1953-1954 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მზად უნდა ყოფილიყო 19 სასკოლო შენობა, მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციების უყაირათო მუშაობისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხრივ კონტროლის სისუსტის გამო მხოლოდ რვა შენობა გადაეცა საექსპლოატაციოდ. მდგომარეობა წელსაც არ გამოსწორებულა. 1954 წლის პირველ კვარტალში სასკოლო შენობების აგებისათვის გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 43 პროცენტია ათვისებული.

ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ საქართველოს სსრ საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო, საქალაქო და რაიონული საბჭოები პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს — სასკოლო მშენებლობას, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სათანადო კონტროლს არ აწესებს სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებაზე. საჭიროა ამ სამინისტროებმა გარდაქმნან მუშაობა და ბოლო მოუღონ ჩამორჩენას ამ საქმეში.

სასწავლო წლის წარმატებით დაწყებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დროულად გამოცემას. ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო. საგამომცემლო ორგანიზაციები სახელმძღვანელოების გამოცემის გრაფიკს სისტემატურად არღვევენ. გამოცემული წიგნების ხარისხიც დაბალია. სახელმწიფო გამომცემლობამ თუ ამთავითვე არ გააძლიერა მუშაობა, საფრთხის წინაშე დადგება სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი საქმე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების დროულად დაკომპლექტებას მასწავლებელთა კადრებით. როგორც ცნობილია, ყოველწლიურად ასობით ახალგაზრდა ამთავრებს ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური სასწავლებლებისა და ინსტიტუტის კურსს. საჭიროა კურსდამთავრებულთა ისე განაწილება, რომ ისინი შესაფერ სამუშაოზე მოხვდნენ, ამასთან ადგილობრივმა ორგანოებმა მუშაობისათვის საჭირო ყველა პირობა უნდა შეუქმნან ახლადდანიშნულ მასწავლებლებს.

სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ღირსების საქმეა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ნაყოფიერად გაშლა მოსწავლეთა შორის. უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლა საზაფხულო არდადეგების პერიოდშიც ბავშვთა ჯანსაღი გართობა-დასვენების ცენტრს წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქად დარჩენილ ბავშვებს. სკოლებმა კომკავშირულ და პიონერთა ორგანიზაციებთან ერთად ფართოდ უნდა დანერგონ პიონერთა ბანაკების, გამაჯანსაღებელი მოედნების, ტურისტულ ლაშქრობათა და ექსკურსია-გასეირნების მოწყობის პრაქტიკა.

ზაფხულის პერიოდში სკოლის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს საშემოდგომო გამოცდამიცემული ბავშვებისათვის დახმარების გაწევა. საჭიროა მათთან სამუშაოდ შევარჩიოთ კვალიფიციური მასწავლებლები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დარგში კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის მტკიცედ განხორციელება. ამისათვის საჭიროა ზუსტად აღირიცხოს სასკოლო ასაკის ბავშვები და ისინი უკლებლივ მიღებულ იქნან სკოლებში. შარშან ამ მხრივ სერიოზულ დამახინჯებას ჰქონდა ადგილი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 680.853 მოსწავლისა 1953-1954 სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სკოლებში ითვლებოდა 658.363 მოსწავლე. ამან ერთგვარი სიძნელე გამოიწვია სკოლების დაკომპლექტების საქმეში.

შარშან სკოლები უზრუნველყოფილი არ იყო სასწავლო მიწის ნაკვეთებით. ამ საქმისათვის ნაკლებად ზრუნავდნენ როგორც განათლების დარგის მუშაკები, ისე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები. წელს ეს მდგომარეობა არსებითად უნდა გამოსწორდეს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მარტო ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოების შესრულებით როდი ამოიწურება. საზაფხულო არდადეგების პერიოდი სახალხო განათლების ორგანოებმა ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გულდასმით შესწავლისა და განზოგადებისათვის. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები ისე უნდა მომზადდეს, რომ ისინი ამ გამოცდილების ფართო პროპაგანდის ნამდვილ ტრიბუნად გადაიქცნენ.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. პარტიული და საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო განათლების ორგანოები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სკოლისათვის საყოველთაო-სახალხო ზრუნვის პატრიოტულ მოძრაობას და უზრუნველყონ ყველა სკოლის სანიმუშოდ მომზადება ახალი, 1954-1955 სასწავლო წლისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. პ. გ. მოსკატოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. მოსკატოვის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. პეტრე გიორგის-ძე **მოსკატოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1954 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ავიძბა** ნაზიმ ქიაზიმის-ძე — მსახიობი.
2. **ვერულეიშვილი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — მთავარი მხატვარი.
3. **გორგაძე** შალვა ალექსანდრეს-ძე — კომპოზიტორი.
4. **დბარი** ვერა ქამშიშის ასული — მსახიობი.
5. **ყაზბეგი** ნაკოლოზ ივანეს-ძე — მხატვარი.
6. **კასლანდია** მარიამ კონსტანტინეს ასული — მსახიობი.
7. **მარღანია** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — მსახიობი.
8. **მიქვაბია** ჯარნას შამშუღის-ძე — მსახიობი.
9. **შარქიბაია** ეკატერინე ზაქარიას ასული — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიგიძე.

ქ. თბილისი,
1954 წ. 14 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ოსეთის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ავიძბა** ნაზიმ ქიაზიმის-ძე — მსახიობი.
2. **ვერულეიშვილი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — მთავარი მხატვარი.
3. **გორგაძე** შალვა ალექსანდრეს-ძე — კომპოზიტორი.
4. **დბარი** ვერა ქამშიშის ასული — მსახიობი.
5. **ყაზბეგი** ნაკოლოზ ივანეს-ძე — მხატვარი.
6. **კასლანდია** მარიამ კონსტანტინეს ასული — მსახიობი.
7. **მარღანია** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — მსახიობი.
8. **მიქვაბია** ჯარნას შამშუღის-ძე — მსახიობი.
9. **შარქიბაია** ეკატერინე ზაქარიას ასული — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიგიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 14 ივნისი.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

12 ივნისს ყრილობის დელეგატები განაგრძობდნენ სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა წესდებაში ცვლილებათა შეტანის საკითხის განხილვას.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა გეოლოგიურსაძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **პ. ი. შელახინი.** იგი ამბობს, რომ წესდების პროექტის შესავალ ნაწილში დამაჯერებლად არის ნათქვამი იმ შესანიშნავ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა ამ უკანასკნელ პერიოდში.

ორატორი გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს საკავშირო პროფსაბჭოს მიმართ, რომელიც აჭიანურებს გეოლოგიურ საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის სტრუქტურის მოწესრიგების შესახებ წინადადებათა განხილვას.

გაზეთ „ტრუდის“ მთავარმა რედაქტორმა **ბ. ს. ბურკოვმა** ყრილობას უამბო, რომ რედაქცია წელიწადში იღებს მშრომელთა 140 ათასამდე წერილს. მშრომელთა მიერ აღძრული საკითხები ემთხვევა იმ საკითხებს, რომლებსაც ბევრი დელეგატი აყენებს თავის გამოსვლაში და რომლებიც ასახულია შეცვლილი წესდების პროექტში. უნდა ვაღიაროთ, ამბობს იგი, რომ გაზეთი „ტრუდა“ სამართლიანად გააკრიტიკეს ყრილობაზე.

ორატორი აღნიშნავს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნო გულგრილად ეკიდება გაზეთს. როგორც წესი, „ტრუდში“ გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც მხურვალე გამოხმაურებას იწვევენ საწარმოებში, შეუმჩნეველი რჩება საკავშირო პროფსაბჭოს აპარატს.

წესდების პროექტი, აღნიშნავს კარელია-ფინეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ნ. პ. ვასილიევა,** სწორად განსაზღვრავს პროფკავშირული ორგანიზაციების როლს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში, სოციალისტური შეჯიბრების, ხელფასის ორგანიზაციაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ცვლილებები, რომლებსაც წესდებაში შევიტანთ, საშუალებას მისცემენ პროფკავშირებს მნიშვნელოვნად აამაღლონ თავიანთი მუშაობის დონე, განამტკიცონ კავშირი მუშებთან და მოსამსახურეებთან.

შემდეგ ამხ. ვასილიევა ლაპარაკობს სოფლად პროფკავშირული მუშაობის შესახებ. ყოველ სოფელში არიან პროფკავშირის წევრები, რომლებიც მუშაობენ სკოლაში, სოფლის სამედიცინო პუნქტებში, სოფლის კოოპერატივებში, ქოხ-სამკითხველოებში. ასეთი მუშაკები ბევრი არ არის, მაგრამ ისინი, როგორც წესი, შედიან 7-8 პროფკავშირში, რომელთა პირველადი ორგანიზაციები რაიონულ ცენტრში არიან. ფაქტიურად მათთან არავინ არ მუშაობს, ისინი წელიწადში მხოლოდ ერთხელ-ორჯერ ესწრებიან პროფკავშირული კრებებს. ორატორს შეაქვს წინადადება შეიქმნას პატარა სოფლებში საკავშირთაშორისო პროფჯგუფები.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის კულტურის მინისტრს **გ. თ. ალექსანდროვს.** მოხსენებებიდან და კამათიდან, ამბობს იგი, ჩანს, თუ რა დიდი ამოცანებია ამჟამად დასახული საბჭოთა პროფკავშირების წინაშე. ეს ამოცანები შეეხება არა მარტო სამეურნეო საკითხებს, არამედ საბჭოთა საზოგადოების კულტურის შემდგომ ამაღლებასაც. ზოგიერთი დელეგატი, აღნიშნა ორატორმა, სამართლიანად აკრიტიკებდა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას საწარმოებში, დაწესებულებებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

შემდეგ ამხ. ალექსანდროვი აღნიშნავს, რომ ამჟამად კულტურის სამინისტროს მუშაკთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, ინჟინერებისა და ტექნიკოსების მომსახურება. ახალი ყამირი მიწების ათვისების რაიონებში მნიშვნელოვანი რაოდენობით გაიგზავნა კინოდანადგარები და კინოფილმები, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, ჟურნალები და გაზეთები, მიღებულია ღონისძიებანი, რათა მოკლე ვადაში განხორციელდეს ამ რაიონების ყველა მტს-ისა და დასახლებული პუნქტის რადიოფიკაცია.

სიტყვას ამბობს ალტაის პროფკავშირთა სამხარეო საბჭოს თავმჯდომარე **ს. ვ. მარტინოვი.**

წესდების პროექტსა და ამხ. პოპოვას მოხსენებაში, ამბობს იგი, სამართლიანად აღნიშნულია, რომ საჭიროა პროფკავშირული ორგანიზაციების უაღრესად ცოცხალი და მჭიდრო კავშირი მასებთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ, ისევე როგორც სხვებსაც, საკავშირო პროფსაბჭოს მუშაკები არც თუ ხშირად გვესტუმრებიან.

წესდების პროექტში სავსებით სწორად არის დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მამოძრავებელი ძალა პროფკავშირთა საქმიანობის გაუმჯობესებაში. არ შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმებზე არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა, იგი არის, მაგრამ მისი დონე საკმაო როდია, და ჩვენი ყრილობა ამ მხრივ ხელსაყრელად გამოირჩევა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმებისაგან.

სტალინის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ე. დ. სოროკამ** აღნიშნა პროფკავშირთა წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის დროულობა. დონბასის მაგალითით იგი ცხადყოფს, თუ მასებში ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის რა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს პროფკავშირებმა.

პროფესიული ორგანიზაციების წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ აგრეთვე სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ტ. ვ. ერემეევი** და ყაზანის ლენინის სახელობის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. გ. გატაულინა-ურაზოვა.**

დილის სხდომაზე საბჭოთა პროფკავშირებისადმი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: ცეილონის პროფკავშირთა ფედერაციის გენერალური საბჭოს წევრმა **ამბალავანარ ვადიალინგამმა,** ინდოეთის პროფკავშირთა გაერთიანებული კონგრესის წარმომადგენელმა **სტრიკანტან ნაირმა,** მექსიკის მუშათა და გლეხთა საყოველთაო კავშირის მდივანმა **გარსია მორენომ.**

• • •

ყრილობის 12 ივნისის საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი პროფესიული კავშირების წესდებაში ცვლილებათა შესახებ მოხსენების გამო.

შემდეგ საბოლოო სიტყვა მიეცა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ნ. ვ. პოპოვას. (საკდესი).

საქართველოს მეცნიერთა სიტყვა

საქართველოს მეცნიერები დიდი სიხარულით შეხვდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მეცნიერთა, აკადემიის თანამშრომელთა საერთო კრება, მიძღვნილი ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისადმი. ახალი სესხის გამოშვების შესახებ ინფორმაცია გააკეთა აკადემიკოსმა-მდივანმა პროფესორმა **გ. ძოწენიძემ.**

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს **ნ. მუსხელიშვილს.**

— საბჭოთა ხალხმა, — თქვა მან, — კარგად იცის, თუ რას ხმარდება ჩვენი სესხები. სახსრები, რომლებსაც მშრომელები სახელმწიფოს სესხად აძლევენ, ხმარდება მშვიდობიან მშენებლობას, კულტურის განვითარებას, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. საქართველოს მეცნიერები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, ხალისით მოაწერენ ხელს ახალ სესხს, რადგან იციან, რომ ეს სესხი ხელს შეუწყობს ახალი ქარხნების, ელექტროსადგურების, ინსტიტუტების, სკოლების, საცხოვრებელი სახლების აშენებას.

სიტყვას ამბობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ნ. კეცხოველი.** იგი ლაპარაკობს, თუ რა დიდი ცვლილებანი მოხდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელების, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგად.

—ეს ცვლილებანი, — ამბობს იგი, — თვალნათლივ მოწმობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ პროფესორმა **ა. ბარამიძემ,** მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების წევრულმა მდივანმა **ტ. ხაჟაშვილმა** და სხვებმა. ყველა მათგანმა მოიწონა ახალი სესხის გამოშვება, გამოთქვა მისწრაფება, რომ შრომითა და მანეთით განმტკიცონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

საქართველოს მეცნიერები სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას კომუნისტური პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო. (საკდესი).

სესხად სახელმწიფოს

თბილისის ქამელ-მაუდის კომბინატში გაიმართა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვებას.

მიტინგზე გამოსულმა წარჩინებულმა მჭსოველმა **მ. რაზმაძემ** განაცხადა:

— ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. ვაძლევთ რა სესხად სახელმწიფოს ჩვენს დანაზოგს, ვიცით, რომ იგი მოხმარდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ახალი საცხოვრებელი სახლების, კულტურის სასახლეებისა და სანატორიუმების მშენებლობას. სესხების სახსრები ხმარდება ხალხის კეთილდღეობას. პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენ ვუპასუხებთ ახალი საწარმო წარმატებებით. ჩვენი საწარმოს კოლექტივი წლითიწლობით აღიდებს მოსახლეობისათვის შალის ქსოვილების გამოშვებას. შარშანდელთან შედარებით დამატებითი ფართობების აუმუშავებლად პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 22 პროცენტით.

წარჩინებულმა მრთველმა **ვ. ჯოხაძემ,** სარემონტო ბრიგადის ბრიგადირმა **შ. გოცირიძემ** თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად მოიწონეს ახალი სესხის გამოშვება და მთელ კოლექტივს მოუწოდეს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი სესხს. ისინი ლაპარაკობდნენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვაზე მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. თბილისელმა მემანდეებმა მიიღეს 15 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მშვენივრად მოწყობილი საერთო საცხოვრებლები, საბავშვო დაწესებულებანი.

მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი სესხს. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი სსრ კავშირში მკურნალობისა და დასვენების შემდეგ სამშობლოში გაბრუნების წინ 11 ივნისს მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა.

საუბარში, რომელმაც გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა.

საუბარი შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც აინტერესებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და სსრ კავშირის მთავრობას. კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში იზრდება პატრიოტული მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათა ლიკვიდაციას, როგორც გერმანიის გაერთიანების წინასწარ პირობას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის გავლენიან წრეებს, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს იცავენ, დასავლეთ გერმანიის ცალმხრივი ეკონომიური ურთიერთობა მიაჩნიათ იმის დაბრკოლებად, რომ დასავლეთ გერმანიამ ხელსაყრელი ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან.

პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა ამასთან დაკავშირებით სურვილი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ყურადღებით მოეპყრას დასავლეთ გერმანიის დაინტერესებული წრეების შესაძლო მიმართვებს საბჭოთა კავშირთან დასავლეთ გერმანიის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ.

გ. მ. მალენკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა კეთილმოსურნეობით მოეკიდება ასეთ მიმართვებს, რამდენადაც საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარება დასავლეთ გერმანიასთან შეესაბამება მხარეების ურთიერთ ინტერესებს და ამან არ შეიძლება ხელი არ შეუწყოს გერმანიის პრობლემის მოწესრიგებას და ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას.

ამ დღეებში უჩვეულო გამოცოცხლებაა საკოლმეურნეო მინდვრებზე. კომბაინერები უცდიან პირველ სიგნალს, რათა მასობრივად გავიდნენ პურის ყანებში.

რამდენიმე დღე ელოდა წნორის მტს-ის კომბაინერი ა. ჯავაშვილი ამ სიგნალს. აქ მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე გაჭრეს ქერის ყანები და კომბაინერმა ა. ჯავაშვილმა პირველმა ააგუგუნა თავის კომბაინი.

იმ დღეს გამოაცხადეს, რომ ყოველმხრივ მზად იყო მტს-ის სადისპეტჩერო სამსახური. ახლა მტს-ი საჭიროების მიხედვით უკავშირდება მინდვრად მომუშავე აგრეგატს და იგებს იმას, თუ რა წარმატება აქვს მას და რა სახის დახმარება ესაჭიროება.

სურათებზე: მარცხნივ — წნორის მტს-ის დისპეტჩერი გ. მჭედლიშვილი, რომელიც მინდვრიდან იღებს ახალ ცნობას. ცენტრში — კომბაინერ ა. ჯავაშვილის აგრეგატი. იგი წარმატებით იღებს ქერის მოსავალს. მარჯვნივ — ა. ჯავაშვილი წნორის მტს-ს აძლევს ცნობას მოსავლის აღების მიმდინარეობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გეგეჭკორის, კაჭრეთისა და წალკის რაიონებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი გეგეჭკორის, კაჭრეთისა და წალკის რაიონებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების მხრივ გეგეჭკორის, კაჭრეთისა და წალკის რაიონებში არსებითი ნაკლოვანებებია.

ამ რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში პოლიტიკური აგიტაცია მოწყვეტილია კონკრეტულ ამოცანებს, არ არის ქმედითი და მიზანდასახული, სუსტად რაზმავს კოლმეურნეებსა და მტს-ების მუშაკებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა შესასრულებლად.

წალკის რაიონის სტალინის სახელობის, მოლოტოვის სახელობის, კაჭრეთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის, გეგეჭკორის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა და სხვა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აგიტატორების შერჩევასა და განაწილებას, ბევრი აგიტატორი უუნაროდ ეწევა სააგიტაციო მუშაობას. გეგეჭკორის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის, წალკის რაიონის კალინინის სახელობის, კაჭრეთის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში სააგიტაციო მუშაობა შეასუსტეს მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მოხდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს აგიტატორთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, საკმაოდ არ მუშაობს მათთან. აგიტკოლექტივების ბევრი ხელმძღვანელი ფორმალურად ეკიდება მიხდობილ საქმეს, იშვიათად აწყობს მეცადინეობას აგიტატორებთან, სუსტად ეხმარება მათ საუბრებისათვის მომზადებაში. ამით აიხსნება ის, რომ აგიტატორთა ნაწილი არ ემზადება საუბრებისათვის, მოსაწყენად, არასაინტერესოდ, კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე მდგომი ამოცანებისაგან მოწყვეტით ატარებს საუბრებს.

გეგეჭკორის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმას. წალკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1953 წელს ხორბლის მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 4 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 15,5 ცენტნერის ნაცვლად, კარტოფილის მოსავლიანობამ — 58 ცენტნერი, გეგმათ გათვალისწინებული 135 ცენტნერის ნაცვლად; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 74 პროცენტით; წველადობამ ერთ საფურაქე ძროხაზე მიმდინარე წლის სამნახევარ თვეში სულ 17 ლიტრი შეადგინა.

წალკისა და კაჭრეთის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში სოციალისტურ შეჯიბრებას ფორმალური ხასიათი აქვს; ნაკისრი ვალდებულებანი არ გაუცვნიათ თვითეული ბრიგადისა და ცალკეული კოლმეურნეებისათვის, სუსტად არის გაჩაღებული ბრძოლა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის.

პარტიის რაიკომები, როგორც აღნიშნულია საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, არაკონკრეტულად ხელმძღვანელობენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიის რაიკომების მდივნები და ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონების მიხედვით საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში პოლიტიკური აგიტაციის დაყენებას. მაგალითად, პარტიის წალკის რაიკომის ინსტრუქტორი ავრანლოს მტს-ის ზონაში ამბ. კ. მანელოვი ძალიან იშვიათად დადის ზონის კოლმეურნეობებში, ხოლო პარტიის რაიკომის მდივანი ამავე ზონაში ამხ. ი. ოვსეფიანი, ზონის კოლმეურნეობებში რომ მიდის, ნაკლებ ინტერესს იჩენს პოლიტიკური აგიტაციის საკითხებისადმი.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები იშვიათად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მასობრივ კრებებზე.

პარტიის კაჭრეთისა და წალკის რაიკომები, პოლიტიკურ მოხსენებათა მოწყობის გეგმებს რომ დაამტკიცებენ, თვალყურს არ ადევნებენ იმას, თუ როგორ სრულდება ეს გეგმები.

კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საკმაოდ არ იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციას; არ არის სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფები, პლაკატები, ლოზუნგები, დიაგრამები, ფოტოგამოფენები და ა. შ. კედლის გაზეთებს მეტწილ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში არარეგულარულად უშვებენ.

კაჭრეთისა და წალკის რაიონებში ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეთა და მექანიზატორთა კულტურული მომსახურება. რაიონულ ცენტრებს დაშორებულ კოლმეურნეობებში კინოსურათებს არ უჩვენებენ. მაგალითად, წალკის რაიონის სოფლებში არსარვანსა და გუმბათში კინოფილმები გასული წლის სექტემბრიდან არ უჩვენებიათ.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიის გეგეჭკორის, კაჭრეთისა და წალკის რაიკომებს უახლოეს ხანში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენებაში.

კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მთელ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას საფუძვლად დაუდონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებებისა და სსრ კავშირის მეთოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალების ღრმა ახსნა-განმარტება. პოლიტიკური აგიტაციით მოიცვან ყველა კოლმეურნენი და მტს-ების მუშაკები, დარაზმონ ისინი პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აგიტატორების შერჩევასა და განაწილებას, გადაჭრით გაუმჯობესონ მათთან მუშაობა. საჭიროა სისტემატურად მოაწყონ აგიტკოლექტივების მეცადინეობა და გააცნონ აგიტატორებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები და ა. შ.

საჭიროა აამაღლონ საუბრების ხარისხი და დაუკავშირონ ისინი კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს, ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს, უზრუნველყონ ბრიგადებსა, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით გაჩაღება, სისტემატურად შეაჯამონ შეჯიბრების შედეგები, განაზოგადონ და გაავრცელონ მუშაობის საუკეთესო, მოწინავე მეთოდები.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა უზრუნველყონ პოლიტიკურ მოხსენებათა რეგულარულად მოწყობა ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში. მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესახებ მოხსენებებით უნდა გამოდიოდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სერიოზული ყურადღება მიაქციონ თვალსაჩინო აგიტაციას. ყველა კოლმეურნეობასა და მტს-ში ერთი თვის ვადაში მოაწყონ გაზეთის ვიტრინები, სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფები და ფოტოვიტრინები სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჩვენებით.

მიმდინარის სამუშაოთა პერიოდში უშუალოდ მიმდინარე მოაწყონ აგიტპუნქტები, სადაც გამართონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლები.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა მეშვეობით სისტემატურად გზავნონ სოფლებში მოძრავი კინო ომისათვის, რომ აჩვენონ კინოფილმები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო თემებზე; შექმნან სააგიტაციო-მხატვრული ბრიგადები და მოაწყონ მათი გამოსვლები საველე პირობებში.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა 15 ივლისამდე შეამოწმონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში და შედეგები განიხილონ აგიტატორთა ზონალურ თათბირებზე, ამასთან დასახონ ღონისძიებანი ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აგიტატორთა თათბირებზე მოხსენებებით უნდა გამოდიოდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს დაავალა სისტემატურად გამოაქვეყნონ სტატიები და კორესპონდენციები აგიტატორთა დასახმარებლად, წერილები საუკეთესო აგიტატორთა გამოცდილების შესახებ და სხვა მასალები სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის შესახებ.

პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებისა და კედლის გაზეთების რედაქტორთა სემინარი

სტალინირი. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და კედლის გაზეთების რედაქტორთა ორდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები ძირეული პრესის ამოცანების შესახებ საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

სიღნაღის რაიონის წნორის მტს-ის მექანიზატორთა შორის ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა: ეწყობა საუბრები, იკითხება ლექციათ-მოხსენებანი, გამოდის საველე გაზეთები. **სურათზე:** მეორე საარაქტორო ბრიგადაში სარედაქციო კოლეგია ამზადებს საველე გაზეთის მორიგ ნომერს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კედლის გაზეთების გამოფენა

ხელოვნების მუშაკთა სახლში 20 დღეს მიმდინარეობდა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფესიულ კავშირში შემავალი ორგანიზაციების კედლის გაზეთების გამოფენა-დათვალიერება, რომელზეც წარმოდგენილი იყო 36 პროფორგანიზაციის 116 კედლის გაზეთი.

გამოფენაზე წარმოდგენილ ზოგიერთ გაზეთს კარგად აქვს გაშუქებული ისეთი საკითხები, როგორიც არის რუსეთთან უკრაინის შეერთიანების 300 წლისთავი, სსრ კავშირის კონსტიტუცია, გენიალური რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის მოღვაწეობა. ამ თემებს მიძღვნილი აქვს სპეციალური გვერდები და განყოფილებანი. კარგად არის წარმოდგენილი აგრეთვე სატირა და იუმორი.

საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ჟიურიმ დაჯილდოვა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომის და ქუთაისის სახელმწიფო თეატრის აღგილკომის კედლის გაზეთები. მეორე ფულადი ჯილდო მიეკუთვნათ ქუთაისის საბავშვო ბიბლიოთეკას და თბილისის მუზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის აღგილკომის კედლის გაზეთებს. მესამე ჯილდო — ბათუმის გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის და თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის კედლის გაზეთებს. საპატიო სიგელებით ჟიურიმ დაჯილდოვა შვიდი კედლის გაზეთი.

ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილი გამოფენა ოცი დღის განმავლობაში დათვალიერა 3.000-მდე კაცმა.

სემინარი პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრებისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა სამდღიანი სემინარი საქალაქო კომიტეტის წევრებისა და კანდიდატებისათვის. სემინარის მიზანს შეადგენდა საქალაქო კომიტეტის თვითეული წევრისა და კანდიდატის ჩაბმა აქტიურ პარტიულ მუშაობაში. წაკითხულ იქნა 10 მოხსენება და ლექცია: მოხსენებები მიეძღვნა პარტიული მშენებლობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის — პარტიის წევრთა უფლებანი და მოვალეობანი, როგორ მოვამზადოთ და ჩავატაროთ საქალაქო კომიტეტის პლენუმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი სწორი ხელმძღვანელობის პირობაა, პარტიული კონტროლის უფლება და სხვ.

სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნებმა ამხ. გ. რუხაძემ, კ. მონცელიძემ, პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ა. ებრალიძემ და სხვებმა. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს პროფესორ დ. ენუქიძის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის დაარსების 25 წლისთავი

სოხუმი. (საკ. კორ.). გუშინ, 14 ივნისს გაიმართა სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა ბ. შინკუბამ. მოხსენება თემაზე—„აფხაზური დრამის 25 წლისთავი“ — გააკეთა აფხაზური დრამის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ა. აგრბამ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვადნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი შ. ინალიფა, გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი ა. ჩხიკვაძე, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშას“ თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გ. არძინბა, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ჰედია, პედაგოგი ბ. გულია, სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის სტახანოველი მუშა გ. ბოიკო, მწერალი კ. ლომია და სტუდენტი ნ. არგული.

საიუბილეო საღამოზე გამოქვეყნდა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დრამის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტისა და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებების მიკუთვნების შესახებ, აგრეთვე თეატრის თანამშრომლების საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

საღამის დასასრულს გაიმართა საკონცერტო განყოფილება, სადაც აფხაზური დრამის მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტები: ალ. ოსტროვსკის პიესიდან „უდანაშაულო დამნაშავენი“, გ. გაბუნიას პიესიდან „მზის ამოსელის წინ“.

ერთი დღე დიღმის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში

მრავალმხრივ-საინტერესოა დიღმის მტს-ის ზონა, რომელიც თბილისის გარეუბნის რაიონის ნინიშვილოვან ტერიტორიას მოიცავს. ამ ზონაში შედის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ისეთი სოფლები, როგორიც არის გლდანი და ავჭალა, დიღომი და წყნეთი, ლისი და მსხალდიდი, ბევრეთი და ნახშირგორა... ამ სოფლებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გარეუბნის რაიონის ეკონომიკაში, უფრო ამიტომ, რომ მრავალდარგოვანია მათი სოფლის მეურნეობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა თბილისის მოსახლეობის ყოველდღიურად მომარაგება ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ახალი მოსავლით, მეცხოველეობის პროდუქტებით.

ამ ზონის კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი კეთილშობილური მოვალეობა. ისინი თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ახლოს გავცნობოდით დიღმის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში შემოქმედებითი შრომის ერთი დღის შედეგებს, საკუთარი თვალით გვენახა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა საერთო ძალით ამ დღეს მოპოვებული წარმატებანი, შეგვეგრძნო მათი ფიქრები და ახრები უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

ზეფი ეხმარება კოლმეურნეობას

როდესაც სოფელ გლდანში შევდიოდით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო გზის მარცხენა ნაპირზე დაბლობში ახალი მშენებლობის ხარაჩოებმა.

— აქ კოლმეურნეობა ათასი კვადრატული მეტრი მოცულობის ახალ სათბურს შენებს. მშენებლობაზე 604 ათასი მანეთი იხარჯება, — გვითხრა თანამგზავრმა.

გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა ერთი-ერთი მოწინავეა გარეუბნის რაიონში. კოლმეურნეობა ყოველწლიურად ზრდის ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიან ფართობს, წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ დედაქალაქის მოსახლეობას მიაწოდოს ბოსტნეულ-ბაღჩეულის დიდალი პროდუქტი.

— მაგრამ ამ საქმეში მაინც ჩამოვრჩებით, — შენიშნავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გიორგი აბუაშვილი.

— როგორ თუ ჩამორჩებით, გეგმას ვერ ასრულებთ?

— არა. გეგმას ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თბილისის მოსახლეობას ადრეული ბოსტნეულის მოსავალს ვერ ვაწვდით. განა ჩვენთვის სირცხვილი არ არის, რომ უკვე ივნისი დადგა და ბაზარზე დღემდე კიტრი და პამიდორი არ გაგვიტანია? ამიტომ გადაწყვიტეთ დიდი სათბურის აგება. ეს საშუალებას მოგვცემს წლიწადის ყოველ დროში ქალაქს მნიშვნელოვანი რაოდენობით მივაწოდოთ არა მარტო ახალი ხახვი, ოხრახუში, წიწმატი და სხვა ბოსტნეული, არამედ კიტრი და პამიდორიც.

სათბურის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გლდანელ კოლმეურნეებს ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევს მათი შეფი.

— ვერასგზით ვერ მოვახერხებდით ჩვენი ძალებით ასეთი დიდი სათბურის აშენებას, შეფი რომ არ დაგვხმარებოდა; — გვიამბობს ამხ. აბუაშვილი, — ჩვენი მარტო ფულადი სასსრებია. ყველა დანარჩენი — მუშახელი, მასალის ძირითადი ნაწილი და სპეციალისტები კი სულ საშეფო ორგანიზაციისაა. შეფები აგვისტოსთვის გვპირდებიან სათბურის მშენებლობის დამთავრებას.

სათბურის მშენებლობას ხელმძღვანელობს საშეფო ორგანიზაციის ახალგაზრდა ინჟინერი ამხ. დავლაძე.

— ჩვენი მშენებელი მუშები, — ამბობს ამხ. დავლაძე, — ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. თავდადებული მუშაობით სახელი გაითქვეს კალტოზმა რ. ნიგოიანმა, დამსახურებულ მუშებმა შ. თილიძემ, გ. ინჭკოტიძემ, ბ. შარიქაძემ, ლ. კაბისაშვილმა და ა. ჩიჩაკაშვილმა. ჩვენი ორგანიზაციის სახელს არ შევარცხვენთ. შეფობა გვიკისრია და სირცხვილი იქნება ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულოთ.

ამ დღეს მშენებლებმა მართლაც დღიური დავალება 150 პროცენტით გაანაღდეს.

არც გლდანელი კოლმეურნეები დარჩენილან ვალში მშენებელთა წინაშე. მათ ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი პამიდორის ჩითილი დარგეს 2 ჰექტარზე, დაამთავრეს ვენახების შესამედ შეწამლვა, სიმინდი და მზესუმზირა გათოხნეს 3 ჰექტარზე, კარტოფილი გათოხნეს და მიწა შემოაყარეს — 5 ჰექტარზე. გარდა ამისა, ამ დღეს კოლმეურნეობამ საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად გაგზავნა ნახევარი ტონა ხენდრო და ბოსტნეული, ხოლო მეორე დღეს ბაზარზე გასატანად მოკრიფა და მოამზადა 1 ტონა.

გლდანელ კოლმეურნეებს მხარში უდგანან დიღმის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორები. ისინი ამ დღეს სამბოსტნე ნაკვეთების დამუშავებაზე, ინეულის ხვნასა და ახალი მიწების ათვისებაზე მუშაობდნენ. „ს-80“ მარკის ტრაქტორი მუშაობდა ნაგობრებში ამოძირკვაზე. ტრაქტორისტი არტემ ქონიაშვილი და ემილი თანაშემწე თემო ონანიშვილი ყოველდღიურად 4-5 ჰექტარ ნასვენი მიწის ახალ ფართობს მატებენ კოლმეურნეობას.

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის მოადგილე ანდრო შერბაკოვი ძველი მექანიზატორია. ის თავის დასტრიალებდა ბიჯებს და ახალისებდა საკოლმეურნეო წარმოებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. შესვენებისას მექანიზატორებთან საუბარი გამართა აგიტატორმა, აგრონომმა მიხეილ ბაბალაშვილმა. მისი საუბრის თემა იყო კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნათესი სათოხნი კულტურების კულტივაცია. მან მარჯვედ გამოიყენა ამ თემაზე გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები. საუბრის შემდეგ გავიდნენ მზესუმზირას და კარტოფილის კულტივაციაზე.

რა თქმა უნდა, გლდანელი კოლმეურნეები უნაკლოდ არ მუშაობენ. მათ ჯერ კიდევ სერიოზული ჩამორჩენა აქვთ ცალკეული კულტურების მიხედვით დავალებათა შესრულებაში. მაგრამ მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ თავი დააღწიონ ამ ჩამორჩენას. ისინი ამის პირობას იძლევიან და, ეჭვი არ არის, შეასრულებენ კიდეც.

საუურადღებო შენიშვნები

მნახველის გულს ახარებს ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახები, სამბოსტნე ნაკვეთები და მეცხოველეობის ფერმები.

კოლმეურნეთა დიდი ნაწილი ამ დღეს ნათესების მოვლა-დამუშავებაზე მუშაობდა. წინა დღეებში დაამთავრეს თავთავიანი კულტურების მარგვლა, მზესუმზირის თინნა, სიმინდისა და კარტოფილის კულტივაცია. ახლა მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი აქვთ ხეხილის ბაღების, ვენახებისა და ბოსტნეული კულტურების დამუშავებაზე.

კოლმეურნეობას 40 ჰექტარი ხეხილის ბაღი აქვს, თათ შორის მოსავლიანია 25 ჰექტარი. ავჭალელი კოლმეურნეები ბოსტნეულითა და ახალი ხილით ამარაგებენ დედაქალაქის მოსახლეობას, ფოლად-თუჯსამსხვილო ქარხანას, ჩაის გადამწონი ფაბრიკის, ავჭალის შუშის ქარხნის და სხვა მახლობელი საწარმოების მუშა-მოსამსახურეებს. ამ დღეს მათ გასაყიდად გაიტანეს 1 ტონა ბალი და ხეხილი, აგრეთვე ნახევარ ტონამდე ბოსტნეული. თუმცა მათ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებს დამუშავება აკლია. ბოსტნეულის ნათესები დაფარულია ბალახით, ერთდროულად უძნელდებათ შემოსული ხილის კრეფა და ბაზარზე გასაყიდად გატანა, პამიდორისა და კიტრის, აგრეთვე სხვა კულტურების გათოხნა. რადგან ეს კულტურები დათესილია ხეხილის ბაღებში, აქ შეუძლებელი ხდება მექანიზაციის გამოყენება. შრომითი რესურსების გამოყენების მხრივ კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ არის. მეორე ბრიგადის ბრიგადირმა რაფაელ გოგელიამ შემოგვიჩივლა:

— რა ვქნა, მუშახელი მაკლია და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ბრიგადაში სიით 51 მყავს, მაგრამ მათი საგრძნობი ნაწილი სხვადასხვა მიზეზით არ გამოდის სამუშაოზე.

კოლმეურნეობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი კულტურების კულტივაცია. ამ დღეს 10 ჰექტარი სიმინდი და მზესუმზირა დაამუშავეს. შრომის ნაყოფიერებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მესამე და მეოთხე ბრიგადების კოლმეურნეები, რომლებმაც დღიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ბრიგადირები ა. ქომეთიანი და ი. ამირანაშვილი პირადი მაგალითით აღფრთოვანებდნენ მათ.

* * *

არაერთხელ აღნიშნული დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიღწევები. კოლმეურნეები წელსაც ურიგოდ არ მუშაობენ. მაგრამ ერთი დღის მუშაობის გაცნობის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ აქაც ნაკლოვანებებია შრომის ორგანიზაციაში, მთელ რიგ ბრიგადებში ადგილი აქვს უდისციპლინობას. როგორც კოლმეურნეობის მუშაკებმა გვაცნობეს, დღეში ას კაცადდე სცდება სამუშაოს საკოლმეურნეო ნაკვეთებზე მიღებული ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე გასაყიდად გატანის გამო.

ამ საკითხზე შეიძლებოდა არაფერი თქმულიყო, რომ ასეთივე მდგომარეობა არ იყოს ამ მტს-ის ზონის სხვა კოლმეურნეობებშიც. კოლმეურნეობათა მესვეურება უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამის გამო, რომ თბილისის შრომელთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მისი შესაბამისი განყოფილებები რატომღაც უყურადღებობას იჩენენ მათი კანონიერი თხოვნისადმი — თბილისის სხვადასხვა რაიონში საჭირო რაოდენობით გამოუყონ დარაბები საავჭრო წერტილის მოსაწყობად.

დიღმის მტს-ის ზონის კოლმეურნეობები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დედაქალაქის მოსახლეობას აწვდიან დიდძალ ბოსტნეულს, ბაღჩეულს, რძის პროდუქტებს, ახალ ხილს. ყველაფერი ეს გამოაქვთ საკოლმეურნეო ბაზრებზე, რომლებიც მხოლოდ საღამოს 6 საათამდეა ღია. ასეთ პირობებში თვით კოლმეურნეობებს უძნელდებათ საკოლმეურნეო ფართობებზე აღებული პროდუქტების რეალიზაცია. ამასთან ისინი ვეღარ ეხმარებიან კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული ბოსტნეულისა და ხილის რეალიზაციაში. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობა [illegible] ლებლად, აცდენს სამუშაოს და ხილ-ბოსტნეული გასაყიდად გაიქეცს ბაზარზე. კოლმეურნეობებს ქალაქის სხვადასხვა რაიონში რომ ჰქონდეთ დარაბები სავაჭრო წერტილების მოსაწყობად, ასეთი მდგომარეობა აღარ იქნებოდა, რადგან კოლმეურნეები თავიანთ პროდუქტებს საბრეალიზაციოდ გადასცემდნენ სავაჭრო წერტილს და სამუშაოსაც აღარ გაიცდენდნენ. ალბათ ამ საკითხით დაინტერესდებიან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

უფრო ახლოს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებთან

დიღმის მტს-ი აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით. მას საუცხოო კადრები ჰყავს. მოწინავე ტრაქტორისტები დ. კოლოტაური, ა. კენქიაშვილი, ვ. ჯანიაშვილი, ი. პარკაული და სხვები მტს-ის სიამაყენი არიან. ისინ სატრაქტორო სამუშაოთა გეგმებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მტს-მა ანეულის ხვნა და კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივად რგვის დავალებანი ვადაზე ადრე გაანაღდა. ახლა მექანიზატორები ნათესების მოვლა-ალაგებაზეა ფრონტზე იღწვიან, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის ემზადებიან.

როგორც მტს-ის დირექტორმა ამხ. ვენერა გოთოშიამ გადმოგვცა, წელს მექანიზატორები პირველად მოაწყობენ სათესლედ განკუთვნილი ბრაგულწლიანი ბალახების კომბაინით აღებას და სათესლე ბოსტნეული კულტურების მექანიზებულ გალეწვას. მტს-მა ამ ოდესებში მიიღო ბოსტნეული კულტურებისათვის საწვიმარის 2 აგრეგატი, ისინი დადგმები დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთებში, რაც უზრუნველყოფს ხელოვნური წვიმით ბოსტნეულ კულტურების მორწყვას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკთა ძირითადი კადრები — დირექტორი ვ. გოთოშია, მთავარი ინჟინერი ბ. ჯოხაძე, მთავარი აგრონომი ბ. ლაშხი და სხვა მუშაკები დილიდან საღამომდე სატრაქტორო ბრიგადებსა და კოლმეურნეობებში იმყოფებიან, კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან ერთად წყვეტენ ადგილებზე წამოჭრილ პრაქტიკულ საკითხს.

მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახეს სოფლის მეურნეობას, მათ შესაბამისად დაწყო მთელი მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნა, სოფლის მეურნეობისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლება. დიღმის მტს-ის ზონაში ინსტრუქტორთა ჯგუფის შექმნამ რაიკომის მდივნის მეთაურობით პარტიული ხელმძღვანელობა უფრო მიუახლოვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას გადამწყვეტ უბნებს, საგრძნობლად გაუუჯობესა მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და სამეურნეო საქმიანობა.

დიღმის მტს-ის ზონაში რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობის მაგალითი მოწმობს, რომ ამ ჯგუფის მუშაკებმა დროზე გადაიტანეს სიმძიმის ცენტრი ორგანიზატორულ საქმიანობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ახლა ეს ნათლად ჩანს. ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაკთა ენერგია ძირითადად ხმარდება ადგილებზე — კოლმეურნეობებსა და სატრაქტორო ბრიგადებში — ადამიანების ინსტრუქტაჟს, პრაქტიკული ამოცანების გ

ფილმი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაზე

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა". სურათი გადაღებულია მ. ბარათაშვილის ცნობილი პიესის „მარინეს" („ჭრიჭინას") მიხედვით და წარმტაცად მოგვითხრობს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაზე, საბჭოთა პატრიოტების დიად შემოქმედებთს შრომაზე.

ფილმი დადგმულია რეჟისორ სიკო დოლიძის მიერ მ. ბარათაშვილისა და ლ. ხოტივარის სცენარის მიხედვით, თანადამდგმელია ლ. ხოტივარი.

შრომა, შრომისადმი განსაკუთრებული სიყვარული საბჭოთა ხალხის დამახასიათებელი თვისებაა. ჩვენს ქვეყანაში შრომა დიდებისა და ღირსების საქმედ არის გადაქცეული. ფილმი „ჭრიჭინა" შესანიშნავად გვიჩვენებს შრომისა და კოლექტივის როლს ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში, მოგვითხრობს, თუ როგორ აყენებს საბჭოთა სინამდვილე. გარემომცველი კოლექტივი ადამიანს ცხოვრების სწორ გზაზე, ხდის მას საბჭოთა საზოგადოების შეგნებულ, ღირსეულ წევრად.

ფილმის დასაწყისში მაყურებლის თვალწინ იშლება საქართველოს ბუნების წარმტაცი პეიზაჟი. შორს მოჩანს თვალუწვდენი საკოლმეურნეო ბაღები, ველ-მინდვრები, დილის მზის სხივებით გაბრწყინებული სოფელი ნაგომარი.

სურათის პირველ კადრებშივე ვეცნობით მის მთავარ გმირს მარინე ფერაძეს, რომელსაც სოფელში მეტსახელად ჭრიჭინას ეძახიან. მკვირცხლი, დაუდეგარი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი განებივრებული აღზრდის შედეგად უდარდელ, ფუქსავატ დამოკიდებულებას იჩენს შრომისადმი, გულს არ უდებს მუშაობას, მუდამ დაბტის და გაუთავებელი სიმღერით აყრუებს არემარეს. სწორედ ამიტომ შეარქვეს თანასოფლელებმა ჭრიჭინა.

19 წელი შეუსრულდა მარინეს. საშუალო სკოლა დაამთავრა, სიმწიფის ატესტატი მიიღო, მაგრამ კვლავ შემორჩა ბავშვური ხასიათი, არ არის მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, შრომისათვის. ჭრიჭინა შეჩვეულია უზრუნველ ცხოვრებას, არ გრძნობს პასუხისმგებლობას ოჯახის, სკოლის, საზოგადოების წინაშე.

ფილმში ჭრიჭინას უდარდელი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, შრომისადმი ახსნილია მისი აღზრდის თავისებურებით. ჭრიჭინა კოლმეურნეობის თავმჯდომარის გიორგი ფერაძის ერთადერთი ქალიშვილია. გოგონას დედა ადრე გარდაეცვალა და ბებია ეფროსინეს დაეკისრა შვილიშვილის აღზრდა.

მაყურებელს ნათლად წარმოუდგება ბებია ეფროსინეს და ჭრიჭინას ურთიერთდამოკიდებულების მთელი ისტორია. ბებიას უსაზღვროდ უყვარს ჭრიჭინა, მზად არის ყველაფერი გააკეთოს, რასაც შვილიშვილი მოისურვებს. ეფროსინე ყოველთვის გამოდის ჭრიჭინას დამცველად, მტკუანია თუ მართალი, ყოველთვის ესარჩლება მას და მოწონებით ხვდება დაუდეგარი გოგონას ყოველ მოქმედებას.

ჭრიჭინას მამა გიორგი ფერაძე მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილი თავმჯდომარეა, მაგრამ ქალიშვილის აღზრდაში ვერ იჩენს საჭირო ყურადღებას და სიმტკიცეს.

სოფელში გაცხოველებული მუშაობაა. ეკრანზე მოჩანს თვალუწვდენი ჩაის პლანტაციების წარმტაცი პანორამა. ხავერდოვანი ჩაის ბუჩქებით შემკულ ფერდობებს მოჰფენიან კოლმეურნე ქალიშვილები, სწრაფად და მარჯვედ ჰკრეფენ მწვანე ფოთლებს. ამ დროს, როდესაც ყველა გმირულ შრომაშია ჩაბმული, შორიდან ისმის ჭრიჭინას გაუთავებელი „ბადელი დელი დელა". ჭრიჭინა ხეზე ზის, გატაცებით მღერის, დაბლა კი მის წიგნებს თხები თელავენ.

ფილმში შესანიშნავად არის ნაჩვენები გამოცდების სცენა. ჭრიჭინა ჩაიჭრა, ვერ ჩაბარა ინსტიტუტში მისაღები გამოცდები. მაყურებელი მოელდება ახეთ შედეგს, რადგან ჭრიჭინას არაფერი გაუკეთებია საგნების მოსამზადებლად. გამოცდების ჩასაბარებლად თბილისში გამგზავრების დროს წიგნებიც კი სოფელში დარჩა.

კინოკომედია „ჭრიჭინა" მაყურებელს აცნობს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას, ახალ ადამიანებს, მათს ფიქრებსა და მისწრაფებებს, იმ მშენებლობას, რომელიც ჩვენს სოფლებში წარმოებს.

სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა აშენებს კულტურის სახლს. პროექტის შესაბამისად სოფელში ჩამოდის ახალგაზრდა არქიტექტორი შოთა ნამორაძე. შოთა და მარინე გაიცნობენ ერთმანეთს. სურათში ნაჩვენებია მათი ახალგაზრდული უმწიკვლო, სპეტაკი სიყვარული.

სოფელში ჭრიჭინას გარდა ცხოვრობს მისი ტოლი მეორე მარინე გიორგის ასული ფერაძე — კოლმეურნეობის მერგოლური, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი. გვარის, სახელის და მამის სახელის ასეთი დამთხვევა ქმნის მრავალ გაუგებრობას, სასაცილო შემთხვევებს და შეუხაბამო მდგომარეობას. ფოსტალიონი კირილეც ხშირად თავს იტეხს იმის გამოსარკვევად, თუ რომელ მარინეს ჩააბაროს მარინე ფერაძის სახელზე მოსული წერილი.

იმ დღეს, როდესაც ჭრიჭინა ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე, რადგითი გადმოსცეს ცნობა სოფელ ნაგომრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურ მარინე გიორგის ასულ ფერაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

პროფესორ ირაკლი მესხის ოჯახში ზეიმითა და სიხარულით ხვდებიან ინსტიტუტიდან დაბრუნებულ ჭრიჭინას. ყველას სჯერა, რომ საქმე აქვთ მოწინავე ქალიშვილთან, სოციალისტური შრომის გმირთან.

ნათესავები და ნაცნობები წარმატებას ულოცავენ მარინეს. ჭრიჭინა მიხვდა, რომ გაუგებრობის საფუძველზე მას ტყუილად აკუთვნებენ სხვის მიერ მოპოვებულ სახელსა და დიდებას. მაგრამ რა ქნას, როდესაც არავის არც სურს მოისმინოს მისი განმარტება? ჭრიჭინა იძულებულია გაიქცეს ქალაქიდან და წასვლის მიზეზად ბებია ელპიტეს გარდაცვალება მოიგონოს.

სურათში ნაჩვენებია, თუ რა ამბები დატრიალდა სოფელ ნაგომარში ჭრიჭინას წინდაუხედავი მოქმედების შედეგად. ეს უსიამოვნო ისტორია გაკვეთილი გახდა ჭრიჭინასათვის, ის ღრმად ჩაფიქრა ცხოვრებაზე. მარინე კოლექტივის დახმარებით სძლევს თავის ნაკლოვანებებს და აქტიურად ებმება მჩქეფარე საკოლმეურნეო ცხოვრებაში. კომკავშირელთა რჩევით მარინე მუშაობას იწყებს მეფრინველეობის ფერმაში და მალე თვალსაჩინო წარმატებას აღწევს. ბოლო კადრებში ნაჩვენებია შოთას და მარინეს შეხვედრა.

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალი მხატვრული სურათი „ჭრიჭინა" კინოკომედიაა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაზე, კოლმეურნე გლეხობის შეძლებულ ცხოვრებაზე შრომისა და კოლექტივის როლზე ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ფილმის წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა შესანიშნავი თამაში. პირველი რიგში აღსანიშნავია ლეილა აბაშიძე ჭრიჭინას როლში. მისი თამაში გულწრფელობით და უშუალობით გამოირჩევა, ლ. აბაშიძე პირველი გამოჩენისთანავე იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. მისი ჭრიჭინა უარყოფითი ტიპი კი არ არის, არამედ სიცოცხლით სავსე, გონებამახვილი, დაუდეგარი გოგონაა, რომელსაც განებივრებული აღზრდის შედეგად ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავისი ნიშისა და უნარის გამოყენების გზა. მაყურებელი სურათის პირველი კადრებიდანვე გრძნობს, რომ ასეთი ახალგაზრდა აუცილებლად დაძლევს თავის ნაკლოვანებებს და მტკიცედ ჩადგება საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. ჭრიჭინას სახე ფილმის ავტორებისა და მსახიობის დიდი გამარჯვებაა.

შესანიშნავად ასრულებს ბებია ეფროსინეს როლს ც. წუწუნავა. მის მიერ შექმნილი ეფროსინეს სახე ღრმად რჩება მაყურებელს ხსოვნაში.

მაღალი ოსტატობით ძერწავს ელპიტეს სახეს თ. აბაშიძე. მსახიობი საუკეთესოდ ახერხებს ერთი განწყობილებიდან მეორეზე მოულოდნელ გადასვლას.

კარგია ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გიორგის როლში ა. ომიაძე. მისი გიორგი დინჯი, საქმის მცოდნე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

მეფრინველეობის ფერმის მოწინავე მუშაკის ცქრიალას მიმზიდველ სახეს ქმნის მ. ჩახავა.

ქების ღირსია დ. აბაშიძე ბიჭიკოს როლში. მისი ბიჭიკო საქმისმოყვარე და დაუზარებელი ახალგაზრდაა. მსახიობი საუკეთესოდ გამოხატავს თავის მგზნებარე სიყვარულს ცქრიალასადმი.

სოციალისტური შრომის გმირის მარინე ფერაძის როლის შემსრულებელი ლ. ასათიანი მთელ რიგ კადრებში კარგად თამაშობს, მაგრამ მის მიერ შექმნილი მარინეს სახე მაინც სქემატურ და ზერელე შთაბეჭდილებას ტოვებს. მსახიობი ვერ იძლევა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკის სრულყოფილ სახეს.

შესანიშნავია პროფესორ მესხის როლში შ. დამბაშიძე. მსახიობი მისთვის ჩვეული ოსტატობით წარმოსახავს პროფესორ მესხის კეთილშობილურ სახეს.

ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს რუსთაველის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი რ. ჩხიკვაძე. მას პირველად უხდება კინოფილმში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა უბრალო და გულწრფელი თამაშით მსახიობი ქმნის ახალგაზრდა არქიტექტორის დასამახსოვრებელ სახეს.

სიცოცხლე და ბალისიანი იუმორი შეაქვს ფილმში ფოსტალიონ კირილეს როლის შემსრულებელს ა. ყორყოლიანს.

კარგად ასრულებენ როლებს მსახიობები ა. თოიძე (ნატო), თ. ციციშვილი (შოთას დედა), დ. ჭიჭინაძე (თინა), რ. ჩხიკვაძე (შოთა), გ. გენეპკორი (ლევანი), ზ. წულაძე (პროფესორი).

ქების ღირსია ოპერატორების თ. ლობოვას და რ. ალინის ნამუშევარი. სურათში მრავალად არის მაღალი ოსტატობით გადაღებული კადრი, განსაკუთრებით საქართველოს ბუნების წარმტაცი პეიზაჟი.

მაღალ შეფასებას იმსახურებს მხატვარ ლ. შენგელიას მუშაობა. სურათი მდიდარია შესანიშნავი ბუნებრივი ფერებით და ამ მხრივ არ ჩამოუვარდება საუკეთესო საბჭოთა ფერად ფილმებს.

ფილმს იდეურ მხატვრულ ღირსებასთან ერთად აქვს ზოგიერთი ნაკლოვანებაც. პირველ რიგში აღსანიშნავია საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების შელამაზებული ფორმებით ჩვენება.

საბჭოთა ადამიანები დაუცხრომელ, შეუპოვარ შრომას ეწევიან საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღებში. უხვი მოსავლისათვის გმირულ ბრძოლაში მათ უხდებათ მრავალი სიძნელის გადლახვა. სურათი „ჭრიჭინა" არ გვიჩვენებს ცხოვრებაში არსებულ სიძნელეებს და მათი დაძლევისათვის წარმოებულ ბრძოლას.

ფილმში მარტივად არის მოცემული ჭრიჭინას გარდაქმნის ამბავი, მისი ჩადგომა მოწინავე კოლმეურნეთა რიგებში. სურათის პირველი ნახევარი, როდესაც საქმე გვაქვს მარინეს უარყოფითი ხასიათის გამოვლინებებთან, წარმოდგენილია დამაჯერებლად, ბუნებრივად, ხოლო მეორე ნახევარი, როდესაც იწყება მისი ხასიათის გარდაქმნა, მოკლებულია თანმიმდევრობას და მხატვრულ დამაჯერებლობას. ფილმის ეს ნაკლოვანებები სცენარიდან გამომდინარეობენ. სუსტია სურათის ფინალი.

სურათში გვხვდება კომიკური გადაჭარბებანი (თაგვისა და კატის კნუტების აღმოჩენა ჩექმის ყელში, ყელსაბნევის საძებნელად ატეხილი ალიაქოთი, ბიჭიკოსა და ჭრიჭინას სირბილი ქათმების დასაჭერად და სხვ.).

სუსტია კომპოზიტორ ხ. ცინცაძის მუსიკა, ფილმში არ არის სულში ჩამწვდომი მელოდიები, რომლებიც ორგანულად იყოს დაკავშირებული სურათთან და ქმნიდეს მისი განვითარების ნათელ ემოციურ ფონს.

ეს ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავენ სურათის იდეურ-მხატვრულ ღირსებებს.

თბილისის კინოსტუდიის ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა" მხიარული და სიცოცხლით სავსე კინოკომედიაა.

ნ. შველიძე.



კადრი ფილმიდან „ჭრიჭინა".

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ოღეს გონჩარის „მეღვინეები"

სახელგამმა გამოსცა ახალგაზრდა უკრაინელი მწერლის ოღეს გონჩარის ტრილოგია „მეღვინეები". იგი მოგვითხრობს მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური, ყველაზე კულტურული საბჭოთა არმიის ბრძოლებისა და გამარჯვებათა შესახებ დიდ სამამულო ომში — აღმოსავლეთ ევროპის ძეგლებთან, დუნაის ველებზე, ბუდაპეშტისა და პრაღის ქუჩებში.

ავტორი ზუსტად იცავს მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, გვიხატავს ჩვენი ჯარების მიერ სამშობლოს საზღვრებზე გადასვლიდან პრაღის განთავისუფლებამდე გავლილ საბრძოლო გზას. მწერლის უდავო გამარჯვებაა ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული სიმართლის ერთიანობის მიღწევა.

ოღეს გონჩარს აქვს ხელოვნის ერთი საუკეთესო თვისება — ყოველი მოვლენა, იდეა რომანში გადმოცემული დახვეწილი მხატვრული სახეებით, რაც ნაწარმოებს სერიოზულ ესთეტიკურ ღირებულებას აძლევს. ძარღვიანი და ძლიერია მწერლის ენა. იგი გაუბრის უსარგებლო ენამეტყველობას. ყოველი სიტყვა თავისებურად და ორიგინალურად ჟღერს.

ევროპის ჩაგრული ხალხებისა და მსოფლიოს წინაშე ჩვენი არმიის დიადი ისტორიული მისია, რომელიც ფაშისტური ულღისაგან პროგრესული მსოფლიოს ხსნაში გამოიხატა, რომანში ნაჩვენებია დამაჯერებლად, მკაფიო და ნათელი ფერებით, დახვეწილი დეტალებით. აი როგორ საუბრობდა ორი საბჭოთა მეომარი ჩეზოსლოვაკიის თავისუფალ მიწაზე დასვენების დროს.

— „აი, მარტინოვ, შენ ამბობ სიძულვილით... მე კი მგონია, რომ მარტო სიძულვილს კი არა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულს მიჰყავს წინ ჩვენი არმიები... ჩვენი სისხლით გასპეტკეპულს, ძმის და ძნელ სიყვარულს... სიყვარულს, რომელიც მიმართულია ყველა ჩაგრულისადმი, ყველა მშრომელი ადამიანისადმი — მთელ დედამიწაზე. ამ სიყვარულითა ვართ ჩვენ ძლიერნი, მარტინოვ, ყველა სხვა არმიაზე უფრო ძლიერნი!"

საბჭოთა მეომრებისათვის ერთნაირად მახლობელი და საყვარელი იყო ყველა ერის წარმომადგენელი. წიგნის მრავალი ფურცელი გვაამბობს ამ ინტერნაციონალურ სულისკვეთებასა და შეხედულებებზე.

საბჭოთა არმიის, სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვების საწინდარი იყო და მუდამ იქნება საბჭოთა ხალხების უანგარო, დიადი მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, ერთსულოვნება ყველა სიმაგრის დაძლევასა და აღებაში. ოღეს გონჩარის ტრილოგია ამ მეგობრობის მხატვრული დოკუმენტი, ცოცხალი ილუსტრაციაა.

წიგნში დაპირისპირებულია ახალი, საბჭოური ტიპისა და დახავსებული, ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანები. მათ შორის მთელი უფსკრულია. პირველი — ყველაზე ჰუმანური და კულტურული, ყველაზე ძლიერი მორალურად და ზნეობრივად — ემსახურება ხალხთა თავისუფლებას, ბედნიერების, მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის საქმეს. მეორე, სისხლში ახრჩობს ადამიანთა უფლებებსა და კულტურას.

ტრილოგიის გმირები გამოხატავენ საბჭოთა არმიის მიზნებსა და მისწრაფებებს. ისინი არიან ერთი იდეისა და იდეოლოგიის მატარებელნი, მაგრამ არცერთი არა ჰგავს მეორეს, თვითეულს აქვს ინდივიდუალური სულიერი სამყარო, უალრესად დამახასიათებელი და სპეციფიკური ნიშნთვისებანი. ისინი მკითხველებს დიდხანს რჩებიან მეხსიერებაში, როგორც შორეული ნაცნობები.

აი გვარდიის ოფიცერი სიერეეფი. იგი მხატვარი იყო, ლენინგრადელი, ოცნებობდა, ერმიტაჟისა და პეტერგოფის აღდგენაზე, ბევრს ფიქრობდა ფერებზე, სინათლესა და შუქრდილებზე, მშობლიურ ქალაქს წარმოიდგენდა უფრო ლამაზსა და მშვენიერს, ოცნებაში ესახებოდა განახლებული ლენინგრადის კონტურები, მაგრამ ბრძოლაში დაბრმავდა, რომ ხალხის სიცოცხლე ნათელი და მზიანი ყოფილიყო.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი იური ბრიანსკი, მეოცნებე ცისფერი თვალებითა და სახის ნაზი ნაკვთებით მუდამ თვალწინ უდგას მკითხველს. საყვარელი მეთაური, ძმვიანი მეგობარი, სიცოცხლეზე, სამშობლოსა და შურა ასნოგორსკაიაზე [illegible] ბა ალპების [illegible] მეტე მაღლობზე. იგი დაეცა სიტყვებით: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" მისი წიგნი საფლავი მინდვრის ყვავილებთან ორის დაფარული. იგი გვავლებს ერთგულად ვემსახუროთ შშობლიურ ქვეყანას, ვიყოთ ფხიზელნი, ვიცოდეთ ნამდვილი ცხოვრება, ბრძოლა, სიყვარული და გმირული სიკვდილი.

შურა ასნოგორსკაია ტყვიამ განგმირა ომის უკანასკნელ დღეს, როცა ხალხებმა უკვე აღნიშნეს ომის დამთავრებისა და მშვიდობიანი შრომის დაწყების თარიღი. სწორედ ამიტომ მისი სიკვდილი უფრო მძიმე, ძნელად შესარგებელი, ძნელად დასაიწყებელია. ეს ქალიშვილი კეთილშობილური გრძნობების მქონე ადამიანის განსახიერება იყო. იგი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდის შესანიშნავი სახეა.

ო. გონჩარის მხატვრული ალღო, ტიპების შექმნის უნარი ყველაზე მკაფიოდ მყდავნდება რიგითი მებრძოლისა და შემდეგ მეთაურის, უკრაინელი ხომა ხაიკის უაღრესად კოლორიტული სახის დახატვით. ხაიკის განვლო დიდი, მკაცრი ფრონტული სკოლა. თუ პირველი წიგნის „ალპები" ფურცლებზე იგი წარმოგვიდგება როგორც სუსტი ნებისყოფის, მხდალი მებრძოლი, რომელიც დაბომბების დროს თხრილებში მიძვრება და „ღმერთო დაგვიფარეო", იძახის, ტრილოგიის მესამე წიგნში „ზლატა პრაღა" უკვე კულტურული, შეგნებული და დისციპლინიანი მეთაურია.

სსრ კავშირი— მარადი გზაფხულის ქვეყანა — მძლავრად მიაბიჯებს წინ. საკეთილ მთესავ მის მარჯვენას ლაზათს მატებს თავისუფლების, ძმობისა და გამარჯვების მზისფერი დროშები. მისი ბიოგრაფია გაუგონრად დიადი და ვაჟკაცური. ჰიტლერელი ბარბაროსების განადგურებით მან კაცობრიობის მისცა შესანიშნავი გაკვეთილი, რომელიც ხალხებს ასწავლის ბრძოლასა და გამარჯვებას, ადამიანებისა და სამშობლოს სიყვარულს, თავისუფლებისა და მშვიდობის მოპოვებისათვის დაღვრილი სისხლის ფასს. რომანში ეს დიადი მისია შესანიშნავი ოსტატობითა და დიდი ემოციური სიძლიერით არის ნაჩვენები.

მოკლედ თარგმანის შესახებ.

პირველი ორი წიგნი „ალპები" და „ცისფერი დუნაი" თარგმნილია დავით კასრაძის, ხოლო უკანასკნელი „ზლატა პრაღა" — სიკო ფამალიშვილის მიერ.

მთარგმნელების ნამუშევარი ვერ სტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას.

საკმარისია რამდენიმე მაგალითი. ავტორს უწერია: **„Предлагаю выпить бочку! Всю до дна! А тогда противотанковую под себя!"** თარგმნილია: „წავიდეთ, მთელი კასრი გამოვცალოთ!.. მთლიანად!.. კასრს ძირი ვუჩვენოთ!...(?!) შემდეგ ტანკსაწინააღმდეგო ქვეშ ამოვდოთ"...(?!). **„Казалось, что он стреляет не только руками, а всем своим куцым, упругим туловищем"** სწერია დედანში. დ. კასრაძე ამ ლაკონიურ, მეტყველ ფრაზას ასე ცუდად თარგმნის: „როგორც გავდა, ხელებითაც ესროდა, ფეხებითაც, (?) ესროდა მთელი თავისი მოქნილი ტანით".

როგორც აღვნიშნეთ, მთარგმნელი სრულიად არ უწევს ანგარიშს ორიგინალის ნიუანსებს. იგი წერს: „საგაიდამ ბრძანა მისთვის ჭრილობა შეეხვიათ", „გონჩარს კი აქვს: „განკარგულება გასცა". **„Гвардии лейтенант! Я не пьяный!.. Я... я дурной!"** თარგმნილია: „გვარდიის ლეიტენანტო! მე მთვრალი არა ვარ... მე... მე ცუდი კაცი ვარ მზოლოდ..." ჩანს მთარგმნელს არ ესმის, რომ **„дурной"** აქ გონებადაკარგულის მნიშვნელობით არის ნახმარი.

ს. ფამალიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი გამართულია, მაგრამ მთარგმნელი ორიგინალს ტვირთავს საკუთარი სახეებით, ზედმეტი ფრაზებით, რითაც აღღვევს ავტორის სტილს, მხატვრულ შთანაფიქრს.

მოძმე ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა ქართულად თარგმნა სერიოზული საქმეა. მას მეტი პასუხისმგებლობით და სიყვარულით უნდა ვეკიდებოდეთ.

ნ. ჩხეიძე.

მომავლის ფართო გზაზე

მშენებლობის უფროსის კაბინეტში ტევა არ არის, ცხელა. საწარმოო თათბირია. მშენებლობის უფროსი, საშუალო და უფროსი მეთაური ყველა გამოუძახნიათ. საკმარისია მათ სპეციალისტებს შეხედოთ, და მაშინვე შეატყობთ, ვინ რას აკეთებს: გვირაბგამყვანებს რეზინის ჩექმები აცვიათ, მუხლებზე მეშახტის წახნაგოვანი ქუდები უდევთ; ბრიალა, ზეთით გაპოხილი კომბინიზონებით მოსულან მექანიკური სახელოსნისა და ავტოგარაჟის მომუშავეები; ცემენტის ხსნარის ზხეფები უზალთუნებივით შეხმობიათ კალატოზებსა და მეტონეებს.

ცხარედ ბჭობენ, ერთი კვირის მუშაობის შედეგებს აჯამებენ ენერგომშენებლები.

ზოგი მკაცრად, ზოგი ნაწყენად გამოიყურება, ხანდახან მწვავე რეპლიკები გაისმის. ჩანს, თათბირი მშვიდად არ მიმდინარეობს.

აქ ზის გვირაბების უბნის უფროსი, აი ის, კუთხეში მიმალული, ქერა ინჟინერი ვახტანგ კასრაძე. 1942 წელს დაამთავრა კასრაძემ საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და უკვე მოასწრო რამდენიმე დიდი ელექტროსადგურის მშენებლობის მონაწილე გამხდარიყო. იგი აგებდა ხრამჰესს, კრასნაია პოლიანის ჰიდროელექტროსადგურს სოჭთან, გაჰყავდა გვირაბები სამგორში, მუშაობდა სირონის წყალსაცავზე. ახლა კი აქ არის, ლაჯანურჰესის მშენებლობაზე.

ან თუნდა ძმები ივანე და დიმიტრი სერდობინცევები. ისინი ხომ გარდა ხრამისა და სამგორისა სომხეთში იყვნენ — ქანაქერჰესის მშენებლობაზე.

მაგრამ აქ მარტო ძველი, მრავლის მნახველი ხელმძღვანელები როდი სხედან, ახალგაზრდა მეთაურებიც შემოეტანენ, კადრის მშენებელთა დიდ მდინარეს ახალი მძლავრი შენაკადები შეუერთდა — სამშობლოს დაძახილზე საქართველოს ყველა კუთხიდან საკუთარი ნებით კომკავშირელთა დიდი ჯგუფები ჩამოვიდნენ, მშენებლობას უჭირს, დავეხმარებითო.

ფანჯარასთან ზის ყელყელა, ლამაზი ახალგაზრდა, თმა უკან გადაუვარცხნია, ულვაშები გრძლად მოუშვია, თვითეულ სიტყვას გულდასმით ისმენს და გამოსულთა სახეებსაც არწივისებური თვალით ისე აკვირდება, თითქოს მათს საძუდამოდ დახსომებას ცდილობდეს. ეს ახალგაზრდა ოთარ გრაკლელია, მშენებლობის მექანიკური სახელოსნის გამგე. თბილისელ მოხალისეთა პირველ ჯგუფთან ერთად აპრილის შუა რიცხვებში ჩამოვიდა ოთარი ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. მანამდე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ხარატ-უნივერსალად მუშაობდა. როცა გრაკლელმა შრომითი რეზერვების ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა, ჯერ ისევ უწვერულვაშო ბაბუკი იყო, სახელოსნო სასწავლებელში გაგზავნეს საწარმოო სწავლების ოსტატად, მაგრამ ძიდხანს არ გაჩერებულა — გული წარმოებაში მიმიწევსო.

— ფანჯარა გააღეთ, კაცო, ცხელა, — დაიძახა ვიღაცამ.

მართლაც აქამდე როგორ ვერ მოიფიქრეს, მაგრამ ამისათვის ვის ეცალა, როცა მშენებლობის ამდენი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი.

გრაკლელი წამოხტა, ფანჯარა გამოაღო. მზე უსახელოს მთას ამოფარებოდა, სხივთა ისრები ალისფერ ცის ტატნობზე ოქროს შუბებივით ატყორცნიოყვნენ. საღამოს გრილ ნიავთან ერთად დარბაზში მდინარე ლაჯანურის ხმაური შემოიჭრა. გამოცოცხლდნენ, მკერდზე საკინძები შეიხსნეს, შვებით ამოისუნთქეს.

ოთარმა შენიშნა, რომ ავტომობილების საბურავებთან დატვირთულმა ორმა მანქანამ ჩაიარა. ძლივს, ტრანსპორტს ეგებ ახლა მაინც ეშველოს, — გაიფიქრა მან და მამავალი მანქანებისათვის დიდხანს არ მოუცილებია თვალი. კი მაგრამ, შენ, შენ რას იზამ, გრაკლელო, — ეკითხებოდა თავის თავს, — მანქანებს ხომ საბურავებს გარდა სხვა ნაწილებიც აკლია. ზოგიერთი მათგანის დამზადება კი შენს მექანიკურ სახელოსნოს აქვს დავალებული. მერე შესრულე? ამ კითხვას უკანასკნელ ხანებში ხშირად აძლევდა თავის თავს. დღეს ალბათ ჩემი ჯერიც დადგება, გაიფიქრა მან და მზერა ახლა ექსკავატორზე გადაიტანა, რომელიც ლაჯანურის ტოტებს შუა რიყეში ჩამჯდარა, იხვივით ხან წაიგრძელებს კისერს, ხან დაყვინთავს — ხრეშში ჩაასობს ციცხვს ეშვებს. იქვე თვითსაცლელი ავტომანქანები ირევიან, მტვრის დაგრაგნილი ბოლოები გამოუბავთ, რიგი მიდის, რიგი მოდის.

კამათი ახალი ძალით გაჩაღდა. გრაკლელი კი ადარ უსმენდა. მშენებლობის დიდებულმა სანახაობამ გაიტაცა. თუმცა მისი ცალკეული უბნები, საამქროები რამდენიმეჯერ უკვე ნანახი ჰქონდა, მაგრამ დიდი მშენებლობის მთელი პანორამა აქედან ხელისგულივით მოჩანდა. თვალი ვეღარ მოამორა. მარჯვნივ საარმატურე საამქროს დაუმთავრებელი კორპუსის ძელებისაგან შეკრული ჩონჩხები მოჩანს. შორს ქარის წისქვილივით აზიდულა ქვიშა-ხრეშის დამხარისხებელი სადგურის კოშკი. ზღუდართან ბუზუნით დაბობღავს ბულდოზერი.

ახლა შეამჩნია ოთარმა ამას წინათ ადიდებული მდინარის ნავაჟკაცარი — კოჭლად გადაზნექილი ხის ბოგირი. ზედ ქანის თვითსატვირთი მანქანა გადადის, გვირაბისაკენ მიემართება. ბოგირის გვერდით ბეტონის ბურჯები — მომავალი ხიდის საიმედო დასაყრდენები ჩამდგარან წყალში. გვირაბიდან ელექტრომავალი გამოიჭრა, მიწით სავსე ვაგონეტებს მოაქანებს. ხანგამოშვებით ყურს ჭრის პერფორატორების ხმაური. მონოტონურად გუგუნებს შიდაწვის ძრავი, რომელიც ელდენით ამარაგებს მშენებლობას. იქვე იმ ძრავთან არის ნექანიკური სახელოსნოც, სამჭედლოც. ოთარს გაეღიმა, ჩანდა, რაღაც სასიამოვნო აზრმა გაუელვა.

მალე ყურში ჩაესმა, თითქოს ვიღაცამ გრაკლელს გვარი ახსენა, გამოერკვა. რაო? რაო? გვირაბში ბეტონის მიწოდება დაგვიანდა, გრაკლელან ბრალიაო? როგორ, რანაირად? მე ბეტონთან რა ხელი მაქვს?

— აბა, გაეცით პასუხი, ამხანაგო გრაკლელო, — მიმართა წულეისკირმა, — რას დადუმებულხართ?

— არაფერი მესმის, — ძლივს წარმოთქვა ოთარმა.

— შენ რა, ფიქრმა გაგიტაცა?

მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა დადიანმა რაღაც წასჩურჩულა უფროსს.

— რა ვუყოთ მერე, რომ ახალია, თავზე ხელი გადავუსვათ? არა ბატონო, აქ სალოლიაიდ არა გვცალია. — ძველ მშენებლებს მიუბრუნდა, — აქამდე გავიძახოდით, მუშახელი გვაკლია, გეგზავნებს იმიტომ ვერ ვასრულებთო, ახლა? ახლა რა გიშლით ხელს, ხომ ჩამოვიდა ხალხი, სამას კაცზე მეტი შემოგვემატა.

არ იყო გულახდილი უფროსი, თვითონაც კარგად იცოდა, რომ მოხალისეთა ჩამოსვლამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა მშენებლობაზე. მაგრამ ეს წარმატებები სრულიადაც არ აკმაყოფილებდა. გეგმები ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად მესრულებული.

ყველა ოთარს მოსჩერებია. ის კი დგას გაოგნებული, არ იცის, რა თქვას.

— უპასუხე, ოთარ, თქვი, ჰო, რაში იყო საქმე, კაცო, გაგვაგებინე, — დაუყვავა დადიანმა. როცა მიხედა, რომ გრაკლელს არაფერი გაეგებოდა, გაუმეორა:

— აი, კასრაძე ჩივის, გუშინ მეტონეებმა ბეტონი დაგვიგვიანესო. ისინი კი თავს იმართლებენ, ტრანსპორტი არ გვქონდა და პეშვით ხომ არ მივზიდავდით მასალასო.

— მერე მექანიკური სახელოსნო რა შუაშია?

— რა შუაშია! — ირონიულად გაიმეორა ავტოგარაჟის მთავარმა ინჟინერმა, — როგორ რა შუაშია, ამხანაგო, რამდენი ხანია რაც მანქანები შესაკეთებლად ყრია?

— მერე?

— მერე! — ისევ გაჯავრა გარაჟის მთავარმა ინჟინერმა, — მერე ისა, რომ შეასრულე ჩვენი შეკვეთა? ჩაგვაბარე ნაწილები?

— უკაცრავად, — დინჯად წამოიწია. — ჯერ ერთი, მანქანებს მაინც ვერ აამუშავებდით, საბურავები მხოლოდ ახლა მოიტანეს. აქ ვიღაცამ თქვა, პეშვით ხომ არ მივზიდავდით ხრეშსაო. როგორ, მე კი თითით გავხვრეტდი ფოლადს? ერთი კვირაა განაცხადს განაცხადზე ვგზავნი სამმართველოში, ბურღებს ვთხოულობ. მიპასუხებენ, არ არის და ვერ მოგცემთო. წადი, ედავე.

წულეისკირმა ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსს გადახედა. იმან მხრები აიჩეჩა, ტრესტი არ გვაძლევსო.

— გამოსავალი უნდა ეძებო, ამხანაგო ოთარ, — ესროლა რეპლიკა დადიანმა.

— არც ჩვენ ვზივართ გულხელდა

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე

პრაღა, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე გრძელდებოდა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშების განხილვა.

ტრიბუნაზე პირველი ავიდა პ. გრონი. მან ილაპარაკა ოლომოუცის ოლქის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე და იმაზე, რომ გლეხები სულ უფრო რწმუნდებიან მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის უპირატესობაში და ხალისით იყენებენ მოწინავე აგროტექნიკურ მეთოდებს.

დელეგატმა რ. ენდლიხერმა თავისი სიტყვა მიუძღვნა იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებს ბრნოს ოლქის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში.

ყრილობის თავმჯდომარე იაროსლავ დოლანსკი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საზ-ხელით მისალმებისათვის სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ყველა დამსწრე ფეხზე დგება და ხანგრძლივ ოვაციას მართავს. გრიალებს „ვაშა“, გაისმის შეძახილები „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“

დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა და ბევრჯერ შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშით, რაც ოვაციად იქცეოდა.

ნ. ს. ხრუშჩოვის ბოლო სიტყვების დროს გაიმართა მძლავრი ოვაცია, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ყრილობის დელეგატები ფეხზე მდგომნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ კამათი გრძელდება.

„უზრუნველყოთ საფრანგეთის პოლიტიკის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოლიტიკის გამარჯვება“

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება

პარიზი, 13 ივნისი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ლანიელის მთავრობა გადადგა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა გუშინ დაიწყო კონსულტაციები. უწინარეს ყოვლისა იგი ესაუბრა ეროვნული კრების თავმჯდომარეს ლეტროკერს, რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს მონერვილს და ეროვნული კრების საპატიო თავმჯდომარეს ედუარდ ერიოს. შემდეგ მან მიიღო სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია და კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ვალდეკ ლ'უელე. მას თან ახლდნენ რესპუბლიკის საბჭოს კომუნისტური პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე ჟორჟ მარანი და რესპუბლიკის საბჭოს წევრი ვალდეკ ლ'უელე. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რესპუბლიკის პრეზიდენტთან საუბრის დროს კომუნისტური ჯგუფის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებანი, რომლებიც შეესაბამებიან საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 12 ივნისის განცხადებას, რაც გამოქვეყნებულია დღეს ამ გაზეთში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადებაში ნათქვამია:

„306 ხმით 293 ხმის წინააღმდეგ ეროვნულმა კრებამ უარი უთხრა მთავრობას ნდობაზე.

მთავრობის კრიზისი ასახავს ფრანგი ხალხის მზარდ გულისწყრომას, იმის გამო, რომ გრძელდება უსამართლო ომი ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ.

უფრო მეტიც, იგი ასახავს იმას, რომ ხალხი არ ეთანხმება ერის ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკას, რომელიც დამძიმებულია მარშალის გეგმისა და ატლანტიკის პაქტის დამღუპველი შედეგებით, რომელთა წინააღმდეგ თავიდანვე იბრძოდა მხოლოდ ჩვენი პარტია.

ინდოჩინეთის მიმართ მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებანი, როგორიც არის არმიაში ვადამდე გაწვევა, ტიპიური სამხედრო ღონისძიებებია. ლანიელი და ბიდო აძლიერებენ ზეგავლენას, რათა მიაღწიონ დამღუპველი ბონის შეთანხმებებისა და პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციას. ისინი ყოველდღე აძლიერებდნენ საფრანგეთის დამონებას ამერიკელ მილიარდერთა მიერ. მათი დაცემა მშვიდობის ძალთა წარმატებაა.

იმ პოლიტიკის მომხრენი, რომელიც ეს-ეს არის დაგმობილ იქნა, ახლა განაგრძობენ იმის მტკიცებას, თითქოს არ შეიძლებოდეს არავითარი სხვა პოლიტიკის განხორციელება. მისი განგრძობის მიზნით ისინი შეეცდებიან ყოველი ღონისძიებით შექმნან, ისეთი მთავრობა, რომელიც ოდნავ თუ განსხვავდება გუშინდელი მთავრობისაგან, ისეთი მთავრობა, რომელიც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის განხორციელებას მიანდობდა „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის მოღვაწეებს — პარტიისა, რომელიც უარს ამბობს ეროვნული ინტერესების დაცვაზე, პარტიისა, რომელიც ღალატობს საფრანგეთის ინტერესებს.

პირიქით, ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ ახალი პოლიტიკის განხორციელებას და ახალი მთავრობის შექმნას.

რამდენადაც უახლოეს მომავალში შესაძლებელია სხვა პოლიტიკის განხორციელება, საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ გზა გაუხსნას ამ პოლიტიკას.

ამასთან დაკავშირებით მას სასარგებლოდ მიაჩნია გაიხსენოს განცხადება, რომელიც ამ წლის 7 ივნისს გაკეთა მისმა გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა პარტიის XIII ეროვნულ ყრილობაზე.

„იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს საფრანგეთის პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლა, რაც მთელ ჩვენს ქვეყანას სურს, ყრილობამ, რომელმაც ერთსულოვნად მიიწონა ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, წარდგენილი ჟაკ დიუკლოს მიერ, ენერგიულად დაადასტურა ჩვენი პარტიის გადაწყვეტილება — მხარი დაუჭიროს ყოველგვარ პოლიტიკას, რომელიც გაითვალისწინებს სამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ მოთხოვნას:

1. საგარეო პოლიტიკის დარგში — ბონის შეთანხმებებისა და პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარისთქმას, ცეცხლის შეწყვეტას ინდოჩინეთში, კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციას ევროპაში და დიდ სახელმწიფოთა შორის უთანხმოების მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით;

2. მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის გადაუდებელ ეკონომიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას;

3. დემოკრატიულ თავისუფლებათა ეფექტიან დაცვას.

ყრილობამ დაადასტურა, რომ კომუნისტები მუდამ მზად არიან მხარი დაუჭირონ პარლამენტსა და მთელ ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარ წინგადადგმულ ეფექტიან ნაბიჯს, ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც შეესაბამება მუშათა კლასისა და ხალხის ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს“.

ამჟამად არაფერი არ შეესაბამება მუშათა კლასის ინტერესებს, ხალხის ინტერესებსა და მშვიდობის ინტერესებს ისე, როგორც საომარი მოქმედების შეწყვეტა ინდოჩინეთში.

ამ პირობებში საფრანგეთის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ იგი მზად არის მხარი დაუჭიროს ისეთი მთავრობის ღონისძიებებს, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ „შეწყდეს ცეცხლი“ და დაადოს ზავი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს კომუნისტ და სოციალისტ მუშებს, ყველა მშრომელს, ყველა პატრიოტ ფრანგს ერთსულოვნად და ერთობლივი მოქმედების გზით გამოთქვან, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ საფრანგეთის პოლიტიკის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოლიტიკის გამარჯვება.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, 1954 წლის 12 ივნისი“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

ლანიელის მთავრობის დამარცხება

პარიზი, 12 ივნისი. (საკდესი). კამათი ეროვნულ კრებაში მთავრობისადმი ნდობის საკითხზე დღეს გახსნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჟოზეფ ლანიელმა. როგორც ცნობილია, წინა სხდომაზე მთავრობას უმცირესობა შერჩა, როცა მან მოითხოვა უარეყოთ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა მიერ შეტანილი რეზოლუციების სამი პროექტი, რომლებიც ასე თუ ისე გმობენ ინდოჩინეთში წარმოებულ პოლიტიკას. მაშინ მთავრობის მეთაურმა დასვა საკითხი ნდობის შესახებ და დაჟინებით მოითხოვდა უარეყოთ აღნიშნული რეზოლუციები.

დღეს ლანიელმა კვლავ გაიღაშქრა ამ რეზოლუციების წინააღმდეგ. იგი არწმუნებდა მთავრობის უმრავლესობაში შემავალ დეპუტატებს, არ გამოიწვიათ მთავრობის კრიზისი „ახლანდელ პირობებში“. მიმართავდა რა მემარჯვენე ჯგუფების დეპუტატებს, ლანიელ ემუქრებოდა მათ, რომ მთავრობის დამხობა გამოიწვევს იმ პოლიტიკის შეცვლას, რომელსაც აქამდე ახორციელებდნენ, და ატლანტიკის კავშირზე უარის თქმას.

შემდეგ დაიწყო დეპუტატების გამოსვლა, რომლებიც განმარტავდნენ კენჭისყრის მოტივებს. სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ შარლ ლიუსმ განაცხადა, რომ ეს ჯგუფი ხმას მისცემს მთავრობის წინააღმდეგ. წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის წევრმა ფრანსუა მიტერანმა ბრალი დასდო ლანიელს, რომ მას სურდა „აიერი სამე, დათხოვნას ემუქრებოდა ეროვნულ კრებას და ამტკიცებდა, რომ მთავრობის გადადგომას შეუძლია საფრთხის წინაშე დააყენოს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი ინდოჩინეთში“. დასასრულ მან მოითხოვა მთავრობის გადადგომა.

შემდეგ დაიწყო კენჭისყრა. ეროვნულმა კრებამ 306 ხმით უარყო მთავრობის მოთხოვნა. მთავრობას ხმა მისცა 293 კაცმა.

კენჭისყრის შედეგები იმას როდი ნიშნავს, რომ მთავრობა დამხობილია, რადგან მისი მოთხოვნა უარყოფილ იქნა ხმების შედარებითი და არა კონსტიტუციური უმრავლესობით (კონსტიტუციური უმრავლესობა უდრის 314 ხმას — პალატის წევრთა ნახევარზე მეტს). მთავრობის მეთაურმა ამ მარცხის შემდეგ კიდევაც რომ გადასცეს განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტს, ამ უკანასკნელს შეუძლია უარყოს იგი.

საგზოთა კალათბურთელი ქალების გუნდი ევროპის ჩემპიონია

ბელგრადი, 13 ივნისი. (საკდესი). ბელგრადში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების შეჯიბრება ევროპის პირველობაზე.

პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება კალათბურთში მოიპოვა სსრ კავშირის გუნდმა, მეორე ადგილი — ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, მესამე — ბულგარეთის გუნდმა, მეოთხე — უნგრეთის გუნდმა, მეხუთე — იუგოსლავიის გუნდმა, მეექვსე — საფრანგეთის გუნდმა, მეშვიდე — იტალიის გუნდმა, მერვე — ავსტრიის გუნდმა, მეცხრე — დასავლეთ გერმანიის გუნდმა და მეათე — დანიის გუნდმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გაიმართა ჩემპიონატის მონაწილეთა პარადი. სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესრულების შემდეგ საბჭოთა გუნდს გადაეცა საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაციის გარდამავალი თასი, ბელგრადის სახალხო კომიტეტის ოქროს თასი და ოქროს მედალი.

კიმ ირ სენმა დარბაზობა გამართა საბჭოთა მსახიობების პატივსაცემად

ფხენიანი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა დარბაზობა გამართა კორეაში მყოფი საბჭოთა მსახიობების დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე კიმ დუ ბონი, კორეის შრომის პარტიის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილეები პაკ ჩან ოკი, კიმ ირი, ცოი ჩან იკი, ხონ მენ ხი, პაკ ი ვანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურისა და პროპაგანდის მინისტრი ხე დენ სუკი, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ლი გი ენი და სხვა ხელმძღვანელები, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, აგრეთვე საბჭოთა მსახიობების დელეგაციის ყველა წევრი და სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. ბ. ლაზარევი.

კიმ ირ სენმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მან, კერძოდ, განაცხადა: ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ მშენებლობისა და ბრძოლის ცხრა წლის მანძილზე კორეელი ხალხი დარწმუნდა, რომ დიდ საბჭოთა ხალხთან მეგობრობა და სოლიდარობა ყველაზე ძვირფასი რამ არის მის ცხოვრებაში. ეს მეგობრობა ჩვენი საშმობლოს მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარების საიმედო საწინდარია. მოწინავე ხელოვნების ნიმუშები, რაც საბჭოთა მსახიობებმა გვიჩვენეს, ხელს შეუწყობენ კორეული ეროვნული ხელოვნების შემდგომ განვითარებას და აღიფრთოვანებენ ჩვენს ხალხს ახალი გამარჯვებებისათვის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენისა და განვითარებაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მსახიობების დელეგაციის მეთაურმა ე. გ. ავქსენტიევმა. მან დიდი მადლობა გადაუხადა კორეელ ხალხს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმ გულითადი მიღებისათვის, რომელიც საბჭოთა მსახიობებს კორეაში მოუწყეს.

წყალზე ჩაუშვეს ბელგიაში აგებული საბჭოთა თბომავალი

ბრიუსელი, 13 ივნისი. (საკდესი). 12 ივნისს წყალზე ჩაუშვეს თბომავალი „ალექსანდრე რადიშჩევი“, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის აგო ბელგიის გემთსაშენმა ფირმამ „ბოელმა“ ქალაქ ტამიზში (აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინცია).

როგორც ბელგიის პრესამ აღნიშნა, შეკვეთები საბჭოთა გემების ასაგებად სამუშაოთი უზრუნველყოფენ ბელგიის გემთსაშენთა რამდენიმე ათას მუშას, რომლებსაც უმუშევრობა ენუქრებოდა.

თბომავალი „ალექსანდრე რადიშჩევის“ წყალზე ჩაშვებას დასწრნენ სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ბელგიაში მ. ფ. კუჩკინი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ბელგიაში ვ. ი. როდიონოვი, გემთსაშენი ფირმის წელმძღვანელები და ბელგიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

თბომავლის ჩაშვების დროს, რომელზეც საბჭოთა ალამი ფრიალებდა, შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ბელგიის სახელმწიფო ჰიმნები.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 14 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რადიკალ სოციალისტმა მენდეს-ფრანსმა დღეს აცნობა პრეზიდენტ კოტის, თანახმა ვარ ახალი მთავრობა შევადგინოო. ელისეს სასახლის (პრეზიდენტის რეზიდენცია) დატოვებისას მენდეს-ფრანსმა განაცხადა, დავიწყებ საჭირო კონსულტაციებს ამ საკითხზეო.

„დინამო“ (თბილისი)—„ჟირონდა“ (ბორდო)

თბილისი. 14 ივნისი. მიმდინარე წლის პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში.

„დინამოს“ სტადიონზე ფრიალებენ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და საქართველოს დროშები, ნაირფერი სპორტული ალმები, მკაფიოდ მოსჩანან ლოზუნგები.

18 საათი და 30 წუთია. გაისმის მარშის ხმა. სტადიონის იარუსებიდან ერთდროულად მოწყდა ძლიერი ტაში, ფრანგი და ქართველი ფეხბურთელები მხარდამხარ მწყობრი ნაბიჯებით მოედნის ცენტრისაკენ მიემართებიან. სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე თ. სხირტლაძე. საპასუხო მისალმებით გამოვიდა საფრანგეთის სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელი ჟ. პიეოლი. ქალაქ საფრანგეთის ჰიმნი — „მარსელიოზა“. მას ცვლის საქართველოს ჰიმნის ხმა. დინამოელებმა სტუმრებს თაიგულები მიართვეს.

მცირე ხნით წვრთნა. საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. ბალაკინი (კიევი) მოედანზე იხმობს საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილე ქ. ბორდოს სასპორტო კლუბის (საფრანგეთი) „ჟირონდასა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს სამახსოვრო ვიმპელები გადასცეს.

თამაში დაიწყო. დინამოელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღეს. იერიშები მარჯვენა ფრთიდან ხორციელდებოდა, სადაც აქტიურად მოქმედებდნენ გაგნიძე და კოტრიკაძე. 22-ე წუთი მიმდინარეობდა. ჩვეული ოსტატობით წინ გაიჭრა ღოღობერიძე და საჯარიმო მოედნიდან ბურთი უკან გაგნიძეს დაუბრუნა. მეკარე ასტრესის თავგანწირულმა ნახტომმა ვერ უშველა დაახლოებით 22 მეტრიდან გაგნიძის ძლიერ დარტყმას. 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ 2 წუთი არც კი გასულა, რომ ანთაძემ ანგარიში გაადიდა. 31-ე წუთზე გაგნიძემ მესამე ბურთი გაიტანა.

ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 3:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარი ფრანგებმა შედარებით ძლიერად ჩაატარეს, თუმცა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები.

28-ე წუთზე თოდრიამ მეოთხე ბურთი გაიტანა. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

სურათზე: **დინამოელები თაიგულებს უძღვნიან ფრანგ ფეხბურთელებს.**

ფოტო ვ. გინზბურგისა.

თორმეტი დღე ტოკიოში

საუბარი მსოფლიოს ჩემპიონთან ვახტანგ გალავაძესთან

ამ დღეებში ტოკიოდან თბილისში დაბრუნდა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილე საბჭოთა კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით, რომელთა რიგებში იყო დიდ ასპარეზობაში გამარჯვებული ახალგაზრდა სპორტსმენი ოქროს მედალოსანი ვახტანგ ბალავაძე. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ვ. ბალავაძე შეეხო ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს, მგზავრობას, შთაბეჭდილებებს. ვბეჭდავთ ამ საუბრის შინაარსს.

58 საათი ჰაერში

მოსკოვი. 10 მაისი. ამ დღეს საბჭოთა კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი აეროდრომზე იყო. მალე თვითმფრინავში ჩავსხედით. აგუგუნდა მოტორები. კიდევ რამდენიმე წუთი, და დედაქალაქს ზევიდან დავცქეროდით, თვითმფრინავმა კურსი სტოკჰოლმისაკენ აიღო.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის რიგებში შედიოდა 12 მოჭიდავე. აქედან 8 ძირითადი და 4 სათადარიგო. ძირითად შემადგენლობაში იყვნენ: ცალქალამანიძე, გიგიაძე, მუზაშვილი, გაბარაევი, ბალავაძე, კარტოზია, ენგლასი, მეკოკიშვილი. სათადარიგო მებრძოლთა ოთხეულში მოხვდნენ — კარავაევი, სალოიდი, დადაშვილი და კანდელაკი.

მარშრუტი საინტერესო, მაგრამ მომქანცველი იყო. თვითმფრინავით ჰაერში დავყავით 58 საათი. მარტო ჰონკონგიდან ტოკიომდე თვითმფრინავს 14 საათი დასჭირდა.

შეხვედრა ტოკიოში

14 მაისი. საღამოს 9 საათია. უკანასკნელ პუნქტს მივუახლოვდით. თვითმფრინავიდან ჯერ ჩამოსულიც არ ვიყავით, რომ გაისმა ასობით ფოტოაპარატის ჩხაკუნი, ყოველი მხრიდან სურათებს იღებდნენ, გვთხოვდნენ ავტოგრაფებს, გვაძლევდნენ მრავალ კითხვას. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს იაპონიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა, მუშებმა, ქალაქის მშრომელებმა.

პოლიციამ ჩვენს გარშემო შემოკრებილი ხალხი დაშალა. სასტუმროსაკენ გავემართეთ, მაგრამ აქაც ბევრი ხალხი დაგვხვდა. ეს აეროდრომზე მომხდარი ცერემონიის გაგრძელება იყო.

პირველი ფვრთნა, შეფასებები

მეორე დღეს, 15 მაისს, საწვრთნელად გავედით. ადგილი, სადაც საბჭოთა სპორტსმენებს ვარჯიში უნდა გაეკეთებინა, ხალხით იყო სავსე. როგორც შემდეგ გამოირკვა, აქ იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების გუნდების წარმომადგენლები, მწვრთნელები, ჟურნალისტები, კომენტატორები.

არ გასულა დიდი დრო, და პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ნაადრევი შეფასებები, დასკვნები. ერთ-ერთი გაზეთი წერდა: საბჭოთა სპორტსმენებმა ბევრი ვერაფერი გვიჩვენეს, თვითეული მათგანი მოუქნელი და არატექნიკურია, მათ წარმატებაზე ნაკლებად უნდა ვიქონიოთ იმედი, რუსები ამ შეჯიბრებაში მოუმზადებელი აღმოჩნდებიანო.

შეჯიბრების პირველი დღე და კომენტარები

მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად ტოკიოში აეშენებინათ ახალი, დახურული დარბაზი, რომელიც 15.000-მდე მაყურებელს იტევდა. ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული, მრავალი მსურველი ვერ დაესწრო ასპარეზობას. დარბაზი მორთული იყო სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშებით.

ჭიდაობისათვის დარბაზში გამართული იყო სამი ხალიჩა. ასპარეზობა ერთ ხალიჩაზე მიმდინარეობდა. პირველი დღე საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით დამთავრდა. 7 შეხვედრაში 6 გამარჯვება მოვიპოვეთ (გაბარაევი ისვენებდა). მოვუგეთ 2 თურქს, 2 ამერიკელს, 1 შვედს, 1 ფინელს. გაზეთებმა ტონი შეცვალეს, გამოჩნდა სტატიები სათაურებით — „რუსები უძლეველები არიან“, „ქვიანური ტაქტიკა“, „საბჭოთა სპორტსმენები — ჩემპიონობის პრეტენდენტები“ და სხვ.

შემდეგი ეტაპები, ფინალი

შეჯიბრება გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, ბრძოლა დღითიდღე მძაფრ ხასიათს იღებდა. ლიდერთა პირველ რიგში ჩადგნენ საბჭოთა და თურქი სპორტსმენები. დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა საბჭოთა ექვსმა მოჭიდავემ — ცალქალამანიძემ, მუზაშვილმა, გაბარაევმა, ბალავაძემ, ენგლასმა და მეკოკიშვილმა. თურქებს ფინალში აღმოაჩნდათ 5 კაცი, ისინი აშკარა მარცხის წინაშე აღმოჩნდნენ. მაგრამ აქ თავი იჩინა ახალმა ფანდმა — პროტესტებით ფონს გასვლამ. საკმარისია ითქვას, რომ თურქებმა 1 დღეს 3 უსაფუძვლო პროტესტი დაწერეს, რომლებიც დაკმაყოფილებულ იქნა.

ფინალური ასპარეზობა დამთავრდა. ახეთი მაქანაციებით თურქეთის გუნდი 1 ქულის განსხვავებით პირველ ადგილზე აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ირანმა — მესამე. ამერიკის შეერთებული შტატები მეშვიდე ადგილზე გამოვიდა.

საბჭოთა კავშირმა მოიპოვა სამი ოქროს მედალი (მეკოკიშვილი, ენგლასი, ბალავაძე), ამდენივე ბრინჯაოს მედალი (ცალქალამანიძე, მუზაშვილი, გაბარაევი), 1 მეოთხე (გიგიაძე) და 1 მეხუთე (კარტოზია) ადგილი.

თურქებმა მოიპოვეს 2 პირველი, 3 მეორე, 1 მესამე, 1 მეოთხე და 1 მეხუთე ადგილი. ოქროს მედლები ხვდათ ავრეთვე: ირანს — 2, იაპონიას — 1.

საერთო მოწონება დაიმსახურა ა. მეკოკიშვილმა. მას საბჭოთა გოლიათი დაარქვეს. ცალქალამანიძეს არაოფიციალურ ჩემპიონს უწოდებდნენ, ხოლო მე- თურქები ხელს მართმევდნენ და „იახში ჩემპიონო“ მეუბნებოდნენ.

ასე დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა ცხადყვეს საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, მაღალი მორალური თვისებები, დაიცვეს საბჭოთა სპორტის ღირსება.

რედაქტორის მოადგილე რ. ქურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

15 ივნისს

პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი** (დ. გამრეკელის მონაწილეობით).

16 ივნისს

ჟ. ბიზე— **კარმენი** (ვ. დავიდოვას მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დისერტაციების დაცვა

24 ივნისს დღის 2 საათზე **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში** (მელიქიშვილის ქ. № 10) **გიორგი კლატონისძე ნადარაია** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ასკარიდის სრული ანტიგენით ფაკულტატური პატრონის იმუნიზაციის და ანტიჰელმინთური იმუნიტეტის ზოგიერთი საკითხისათვის“.**

შრომის გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

26-VI-54 წ., დღის 1 საათზე (აუდიტორია № 120) გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნინო ილარიონის ასული მრევლიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„დუშეთის რაიონის პალეოგენის ფაუნა და სტრატიგრაფია“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დღეს 9 საათიდან საღამოს 5 ს. 30 წუთამდე.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი“

მრძელდება ხელმოწერის მიღება ცენტრალურ და ადგილობრივ ქვრნალ-გაზეთებზე 1954 წლის მეორე ნახევრისათვის

ხელმოწერას მიიღებენ «სოიუზპეჩატის» განყოფილებები,

კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები, საგენტორები, ფოსტალიონები, კოლმეურნეობათა წარმოებლმძღვანელები და საზოგადოებრივი გამავრცელებლები ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ორგანიზაციებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

ცენტრალურ გამოცემებზე ხელმოწერა გაგრძელდება 18 ივნისამდე, ადგილობრივზე — 25 ივნისამდე.

„სოიუზპეჩატი“

რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი 1954-1955 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მიღებას სამსახიობო ფაკულტეტის პირველ კურსზე.

ინსტიტუტში შემოსვლის მსურველმა დირექტორის სახელზე შემოტანილ განცხადებას უნდა დაურთოს ავტობიოგრაფია, სიმწიფის ატესტატი, 4 ფოტოსურათი და ცნობა სწავლებრივ ვალდებულების შესახებ და წარმოადგინოს პასპორტი.

ინსტიტუტში შემომსვლელები ამბრებენ მისაღებ გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში და სპეციალობაში (შემომსვლელებს მოეთხოვებათ ოგავ-ორაკის, ლექსისა და პროზის ნაწყვეტის ზეპირად წაკითხვა, სასცენო ეტიუდის შესრულება, რიტმულობისა და მუსიკალური სმენის გამომეღლავნება).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 2 აგვისტოს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტში (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 17, ტელეფონი № 3-92-89, № 3-64-11) ყოველდღე 12-დან 4 საათამდე.

ლუდის № 1 ქარხნის კოლექტივი იუწყება **ნინო ვრიგოლის ასულ წიკლაურის** გარდაცვალებას.

შვილები დავით, ვერა, **ძმები** ვალენტინა, ეთერ, **შვილიშვილები** კოკა, ამრიდა, ზაური, ნატრული ჭყონიები იუწყებიან **მინა ნიკოლოზის ასულ ადამია-ჭყონიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VI სოფ. ონოღიაში.

შვილები იესე, მერი, **შვილიშვილი** ლამარა, **რძალი** მარგო გიგინეიშვილები, დები ტეფა, ლუბა ოჯახებით, **რძალი** პეპუში, **ძმისწულები** გულჯან, ლევან, ბახვა ჯაყელები იუწყებიან **გოგუცა ლეონტის ასულ ჯაყელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 6 ს. ბარნოვის ქ. № 121.

შვილები ნინო, ანიკო, ვერა, იოსებ, სიძეები ს. მანველაძე, ა. მიკირტიანი, ვ. ისაკაძე, **შვილიშვილები** თეიმურაზ, ოტო, ნანული, ლავერა, მურაზ იუწყებიან **გოლა ხვოისოს-ძე მეშვილდიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VI, ქ. სტალინირში, გამოსვენება კოჩიეთის ქ. № 10.

დედა ევნიკია, **ძმა** გიორგი, **რძალი** ვენერა, **ძმისწული** დოდო, და ლუბა, **სიძე** ილია, **დისწულები** ეთერ, რეზო, **მიხეილ** სხირტლაძეები იუწყებიან **თამარ მალაქიას ასულ გიორგოლიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 5 ს. ნასაკირალის ქ. № 14.

მეუღლე დომნა, **შვილები** თამარ, შალვა, **რძალი** თინა, **სიძეები** შ. ლობჟანიძე, პ. მაისურაძე, **შვილიშვილები**, **ძმები** ნოე, მარკოზ, დები ბარბარე, მატრონა **შვილებით** იუწყებიან **ბარნაბ ფარნ